პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
პარასკევი
31
იანვარი
№ 26
(16152)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

ვინ როგორ ასრულებს გეგმას, ვალდებულებას!

დამკვრელური ჯეგვით

დევიზი: გამოვუშვკეთ უფრო მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით.

საწარმოს აღმავლობა

თბილისის ი. სტალინის სახელობის ელექტროგაგონშემკეთებელი ქარხნის 1975 წლის სოციალისტური ვალდებულებანი

ახალგაზრდავდება საქართველოს უხუცესი საწარმო — ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა, იგი სრულ რეკონსტრუქციას განიცდის. მაგრამ ელექტროვაგონშემკეთებლები ერთი წუთითაც არ წყვეტენ საწარმოო საქმიანობას, ამზადებენ ქვეყნისათვის საჭირო პროდუქციას.

ისინი მომზადებული შეხვდნენ ახალ სამეურნეო წელს და იანვარში შრომის მაღალი ტემპი აიღეს. ეს გასაგებიც არის, მათ წელს გაზრდილი შემხვედრი გეგმა და სოციალისტური ვალდებულებები უნდა შეასრულონ.

ვალდებულებათა ოქმში ნათქვამია: პროდუქციის რეალიზაციის გეგმა გაანადღონ 27 დეკემბერს 101 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 1,5 პროცენტით, გეგმის გადამეტებით გამოუშვან 1 ელექტროსექცია, 37 წევის ძრავი, 262 ტონა ნაჭედი და ნატვიფრი დეტალები, 147 ტონა თუჯის და 10 ტონა ფერადი სხმულები, გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 0,5 პროცენტით; პროდუქციის თვითღირებულება შეამციონ 0,2 პროცენტით, მიიღონ 110 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება;

დაზოგონ 190 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 180 ტონა პირობითი სათბობი, 195 რაციონალიზატორული წინადადებისა და გამოგონების ნაცვლად დანერგონ 200 რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება, რითაც მიიღონ 170 ათასი მანეთი ეკონომია.

პროდუქციის გამოშვების ზრდა მთლიანად მიიღონ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

ვალდებულებები განხილულია და მიღებულია საწარმოს კოლექტივის საერთო კრებაზე.

ორდენის გადაცემა

30 იანვარს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ კრემლში ხალხთა მეგობრობის ორდენი გადასცა საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს პარილაოს ფლორაკისს. მაღალი ჯილდო მას მიენიჭა კომუნისტური მოძრაობის წინაშე დამსახურებისათვის, რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისათვის, ბერძენი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცებაში დიდი წვლილისათვის და დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით.

მიმართა რა პარილაოს ფლორაკისს, ნ. ვ. პოდგორნიმ თქვა:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სახელით, საბჭოთა კომუნისტების სახელით მინდა გულითადად მოგილოცოთ, ძვირფასო ამხანაგო ფლორაკის, ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდდება, გისურვოთ ჯანმრთელობა და ახალი წარმატებანი საბერძნეთის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ინტერესებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ნ. ვ. პოდგორნი მიესალმა აგრეთვე აქ დამსწრე საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს ამხანაგ კოსტას ცოლაკისსა და სხვა ბერძენ ამხანაგებს, უსურვა მათ შემდგომი წარმატებანი ახალი თავისუფალი საბერძნეთისათვის ბრძოლაში.

საპასუხო სიტყვაში პარილაოს ფლორაკისმა მხურვალე მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობასა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს მაღალი ჯილდოსათვის.

საბჭოთა კავშირის შრომა ჯილდოს გადაცემაზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი მ. პ. გიორგაძე, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი ვ. ვ. ზაგლადინი და სხვები. (საკვლევი).

ნოვატორთა მაგალითით

ლენს ყველა საწარმოო თუ სამეურნეო კოლექტივს ჰყავს ნოვატორი მუშები, რომლებიც შეჯიბრების ავანგარდში არიან და თავიანთი ენთუზიაზმით წინ მიუძღვიან სხვებს, დამკვრელური შრომის მაგალითს უჩვენებენ. მათს რიცხვში არიან ამ სურათებზე ასახული ადამიანებიც.

თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ საკოლოფე საამქროს მუშა ნორა შაქარაშვილი (სურათზე ზემოთ) კოლექტივში ერთ-ერთი პირველი ჩაება შეჯიბრებაში — გამოვუშვათ მეტი, მაღალი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით, და წარმატებაც მოიპოვა. მან არა მარტო დროს გაუსწრო (იგი 1977 წლის ანგარიშში შრომობს), არამედ მომჭირნედაც შრომობს და უდეფექტო პროდუქციასაც ამზადებს.

ეარშან აბაშის რაიონის სოფელ ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მესამინდვრეებმა სახელმწიფოს 18.900 ცენტნერი მარცვლეული ჩააბარეს, ეს გეგმაზე 7.500 ცენტნერით მეტია. ამ მოღვაწეში თავისი წვლილი მიუძღვის მესამინდვრე ბ. სოხაძეს (სურათზე ქვემოთ), რომელმაც ორ ჰექტარ გაპირონებულ ფართობზე 36 ცენტნერის ნაცვლად 90 ცენტნერი სიმინდი მოიწია. წლეულს იგი ჰექტარზე 55 ცენტნერი სიმინდის მოღებას ჯისრულობს.

ვ. მორგუნოვისა და ბ. გერსამიას ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

მეჯიბრება და პროფკავშირები

ლრულიად საკავშირო შეჯიბრება დღითიდღე ფართოვდება. გადიდებული ვალდებულებანი და დამკვრელური შრომა მათი შესრულებისათვის — ასეთია მილიონთა პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაზე პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. ენერგიულად საერთო-სახალხო გახდა ზრუნვა იმისათვის, რომ შრომითი მეტოქეობის გაქანება მთლიანად შეესაბამებოდეს იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში და პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში, დადგენილებებში ქალაქად და სოფლად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

„პარტიისა და ხალხის გეგმების განხორციელებაში აქტიურ, უშუალო მონაწილეობას იღებენ საბჭოთა პროფკავშირები. ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს მათი როლი მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებაში. ერთიანებენ რა თავიანთ რიგებში ამ მილიონზე მეტ კაცს, მათ უნდა იკისრონ მაღალი და პასუხსაგები მოვალეობა—შრომითი კოლექტივები დარაზმონ ხუთწლედის დავალებათა, მისი დამამთავრებელი წლის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად. სწორედ ეს მოითხოვა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმმაც, რომელმაც განიხილა პროფესიული კავშირების ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

პროფკავშირთა ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, საწარმოთა გეგმაზომიერი რეკონსტრუქციის და ხელახალი ტექნიკური აღჭურვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის საკითხები. ახლა, როცა 1975 წლის გეგმები დამტკიცებულია, ხაზგასმულია საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილებაში, საქმე ის არის, რომ რაც შეიძლება მალე ავამოქმედოთ რეზერვები, მტკიცედ დავძლიოთ ნაკლოვანებანი, გამოვაჩინოთ მაქსიმალური სიბეჯითე დასახული მიზნების მიღწევაში.

ჩვენს პროფკავშირებს მასებში მუშაობის უმდიდრესი გამოცდილება აქვთ. შემოქმედებითად ვიყენებთ რა მას, უნდა სრულვყოთ შეჯიბრების ორგანიზაცია ახალი ამოცანების შესაბამისად. ამის გზებს თვითონ ცხოვრება, მოწინავე კოლექტივების პრაქტიკა გვიკარნახებს. ფართოდ არის ცნობილი მოსკოველთა მიერ დაწყებული მოძრაობა შემხვედრი გეგმების შემუშავებისათვის. ახლახან მთელ ქვეყანას მოედო ცნობა მეშახტეთა თაოსნობის შესახებ, რომლებმაც თავის კოლეგებს მოუწოდეს საწმენდი სანგრევიდან ამოიღონ სულ ცოტა ათასი ტონა ქვანახშირი დღე-ღამეში. თანამედროვე ტექნიკის შექმნისა და დანერგვის დაჩქარების ლენინგრადელთა ინიციატივა, კიეველთა ვალდებულებანი, რომლებმაც გადაწყვიტეს იბრძოლონ მაღალნაყოფიერი შრომისა და ხანიშნული კულტურის ქალაქისა და ოლქის წოდებისათვის, სოფლის მექანიზატორთა ლოზუნგი „დღეს ნოვატორის რეკორდი, ხვალ ყველას ნორმა უნდა გახდეს“ — ყოველივე ეს მასების შემოქმედებითი ინიციატივის ახალი მიჯნები სოციალისტური შეჯიბრების ამოუწურავ შესაძლებლობათა დადასტურებაა.

პროფკავშირულ ორგანიზაციათა ღონისძიებებზე ბევრად არის დამოკიდებული შეჯიბრების ქმედითობა, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობა, მათი შედეგიანობა. ვავრცელებთ რა მოწინავე გამოცდილებას, უნდა გავითვალისწინოთ კონკრეტული პირობები, რომლებშიც იგი იქნება გამოყენებული, გავითვალისწინოთ საქმის ეკონომიური მხარე. კი არ უნდა შემოვიფარგლოთ საერთო მითითებებით, არამედ ვიცოდეთ რა ხდება თვითეულ ცვლასა და ბრიგადაში, თვითეულ სამუშაო ადგილზე — აი წესი, რომელიც ყოველთვის უნდა შესრულოთ. პროფკავშირთა მნიშვნელოვანი საზრუნავი იყო და არის მორალური და მატერიალური სტიმულირების ფორმების სრულყოფა, წახალისების ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც ყველაზე უკეთ ასახავენ პროდუქციის გამოშვების გადიდებაში თვითეულის პირად წვლილს, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

ПРАВДА

30 იანვრის მოწინავე

საბჭოთა პროფკავშირები, ხაზგასმით აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — ეს არის „აღმზრდელობითი ორგანიზაცია, ჩამბის, სწავლების ორგანიზაცია, ეს არის... მართვის სკოლა, მეურნეობრიობის სკოლა, კომუნიზმის სკოლა“. ასეთ როლს ისინი მით უფრო წარმატებით შეასრულებენ, რაც უფრო მტკიცედ ეყრდნობიან პარტიულ დახმარებასა და მხარდაჭერას. თავის მხრივ კომუნისტები, მოქმედებენ რა პროფკავშირებთან მჭიდრო კონტაქტით, აქტიურად უწყობენ ხელს მათი ავტორიტეტის აღმავლობას, ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას, სახარგებლო წამოწყებათა გავრცელებას. ბევრი პარტიელი არჩეულია პროფკავშირების ხელმძღვანელ ორგანოებში და, მუშაობს რა იქ, უჩვენებს მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის მაგალითს. პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტორგანიზაციების მოვალეობაა დღეითადგ ზრუნავდნენ კადრების შერჩევისათვის, სწავლებისა და აღზრდისათვის, ყველა პროფკავშირულ ორგანოში მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრებისათვის.

უნდა ითქვას, რომ ცალკეული ადგილობრივი კომიტეტები აწყობენ მეტისმეტად ბევრ სხვადასხვა სხდომასა და თათბირს ორგანიზატორული საქმიანობის საზიანოდ, ქმნიან ბევრ კომისიას, რომლებიც ხშირად ერთმანეთის დუბლირებას ეწევიან და აქტივს სწყვეტენ პრაქტიკული საქმეებს. ეს, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენს შეჯიბრების ხელმძღვანელობის დონეზე, ფორმალიზმი ვლინდება დეკლარაციული, კონკრეტული მიდგომით საკითხების გადაწყვეტისადმი, იმით, რომ ვალდებულებებს ზოგჯერ იღებენ ზერელეს, შესრულების შედეგებს კი არსებითად არ აჯამებენ. ზოგიერთი პროფკავშირული ორგანიზაცია გაუბედავად ილაშქრებს უწყებრიობის, კუთხურობის წინააღმდეგ, სუსტად იყენებს თავის უფლებებს, როცა საქმე ეხება შრომის კანონმდებლობის დაცვას, კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულებას, შეჯიბრების იმ მონაწილეთა წახალისების ღონისძიებათა გამოყენებას, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, და დისციპლინის დამრღვევთა, წუნისმკეთებელთა ხაზოგადოებრივ დაგმობას.

პარტიულ ორგანიზაციათა მოვალეობაა ხელი შეუწყონ პროფკავშირთა ეფექტიან მუშაობას შეჯიბრების ხელმძღვანელობისადმი. არ უნდა შეეცვალოთ ისინი, არ უნდა გავუწოთ წვრილმანი მეურვეობა და განუწყვეტლივ უნდა ვეხმარებოდეთ ისეთი ატმოსფეროს შექმნაში, რომელიც უზრუნველყოფს შემოქმედებითს ძიებას, მუშათა, სპეციალისტთა, მეცნიერთა უნარიხა და ცოდნის მაქსიმალურ გამოვლინებას, გეგმებისა და ვალდებულებების რეალიზაციისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებას. აქაც დიდი მუშათა კრებების, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების, ნოვატორთა საბჭოებისა და წარმოების მართვაში მშრომელთა ჩაბმის სხვა ფორმებისა და საშუალებების როლი. ყოველნაირად უნდა წავახალისოთ მასების ინიციატივა, დროულად გავუსწროთ იმათ, ვინც ჯეროვნად არ აფასებს საზოგადოებრივი თვითთმოქმედების ორგანოებს, გავუმჯობესოთ კონტროლი მშრომელთა წინადადებების შესრულებისადმი.

მაღალი შედეგები შეჯიბრებაში მჭიდროდ არის დაკავშირებული საქმის კარგ ორგანიზაციასთან წარმოების ყველა რგოლში, შრომის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასთან. სწორად იქცევიან ის პარტორგანიზაციები, რომლებიც პროფკავშირთა ხაბჭოებისა და კომიტეტების მეცადინეობას წარმართავენ ამ მუშაობის სრულყოფისათვის, აქტიურად უჭერენ მხარს მათს სამართლიან მოთხოვნებს, რომლებიც ნაკარნახევია ადამიანებისათვის ზრუნვით.

ყველა თავის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებასა და წამოწყებაში ჩვენი პარტია მტკიცედ ეყრდნობა მრავალმილიონიან პროფკავშირებს. ეხმარებიან რა მათ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი საქმიანობის სრულყოფაში, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლაში, პარტორგანიზაციები უზრუნველყოფენ ახალ წარმატებებს სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ქალაქი — სოფელს

გადიდებული ვალდებულება

ჟუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ნოვატორებმა გადაწყვიტეს წელს რაციონალიზატორულ მოძრაობაში ჩაბმან 50 კაცი საშეფო კოლმეურნეობებიდან, დაეხმარონ მათ საჭირო დოკუმენტების სწორ შედგენასა და წინადადებათა დანერგვაში.

სოფლისადმი ავტოქარხნელთა საშეფო დახმარება ტრადიციად იქცა. ეს განსაკუთრებით საგრძნობია მეცხრე ხუთწლედში.

— ყველაზე ნაყოფიერი იყო გასულილი წელი, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს შაბის ხელმძღვანელმა ვ. მანჯგალაძემ, — როცა ჩვენმა კოლექტივმა პირნათლად შეასრულა საშეფო კოლმეურნეობებისათვის ინსტრუმენტების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების დეტალებისა და კვანძების, სარემონტო-საექსპლოატაციო სამსახურებისათვის საათადარიგო ნაწილების დამზადების, ხიჩარხო პარკის გამართვისა და ამუშავების ვალდებულებანი, დაეხმარა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებსა და მოსავლის აღებაში. კოლმეურნეობებს გაეწიათ თითქმის 10 ათასი მანეთის ტექნიკური დახმარება, რაც დაახლოებით ერთიორად აღემატება ვალდებულებას.

წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში ავტოქარხნელთა ჯგუფი მთავარი მექანიკოსის მოადგილის ვ. კინწურაშვილის მეთაურობით დაეხმარა ფერმებს შრომითი პროცესების მექანიზაციაში, სარემონტო სახელოსნოთა აგებაში და სხვ. მეორე კომპლექსურმა ბრიგადამ მთავარი ენერგეტიკოსის მოადგილის მ. ცეცხლაძის მეთაურობით სამტრედიის რაიონის სოფელ მელაურის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას შეუკეთა ტრაქტორები, დაამზადა გალიები პირუტყვისათვის, 500 კვადრატული მეტრი ფარდული ინვენტარის შესანახად.

ქარხნის სამსახეი მეტი მუშაკი მონაწილეობდა სამტრედიის რაიონის საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებში, თერჯოლის რაიონში კი მათ დაამუშავეს 14 ჰექტარი ჩაის პლანტაცია და სარეველებისაგან გაწმინდეს 4 ჰექტარი სავარგული.

ავტომობილმშენებელთა 1975 წლის სოციალისტურ ვალდებულებებში დიდი ყურადღება ეთმობა საშეფო კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევას მეფრინველეობის ფერმების, ტრაქტორების შეკეთებაში, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციაში, ინსტრუმენტებით, ხათადარაგო ნაწილებით, ალუმინის ხმხულებით, საწვავ-საპოხი მასალებით, ლაქ-საღებავებით მომარაგებაში, გადაწყვეტილია 40 ჰექტარზე მეტი მიწის დამუშავება.

კონსერვატორთა სწავლება

დამოუკიდებელ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტთა თავმჯდომარეების ჯგუფის მეცადინეობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიულ და საბჭოთა კადრების გადასამზადებელ მუდმივმოქმედ კურსებზე.

კურსებზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე შ. ყარყარაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ვადაჭკორია, რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრი მ. მეგრელიშვილი, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი კ. კეთილაძე, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ვ. სობოლევი, „ცეკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარე კ. შავიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე კ. ციმაკურიძე.

მსმენელებს ლექციები წაუკითხეს პროფესორებმა ა. მირცხულავამ, პ. ჟღენტმა, ვ. ფარცხალაძემ, კ. ივანიძემ, თ. ჯაფარიძემ და სხვებმა. (საქინფორმი).

თავდადებული შრომის ნაყოფი

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებისა და შემხვედრი გეგმების შესრულების საფუძველზე, მეცხრე ხუთწლედის მეოთხე წელს მოიპოვეს ახალი წარმატებანი რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში, მეცნიერებასა და კულტურულ მშენებლობაში.

კვლავ ხორციელდებოდა სოციალური პროგრამის ღონისძიებანი, რომლებმაც უზრუნველყვეს ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

გასულ წელს სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მაჩვენებლებს ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1974 წელი პროცენტობით 1973 წელთან შედარებით
მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი	106,9
მრეწველობის პროდუქცია	110,3
აქედან:	
წარმოების საშუალებათა წარმოება („ა“ ჯგუფი)	110.1
მოხმარების საგნების წარმოება („ბ“ ჯგუფი)	110,8
სოფლის მეურნეობის პროდუქცია	106,2
ძირითადი ფონდების ამოქმედება	102,4
კაპიტალური დაბანდებანი	107,0
მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი	102,1
ხელფასის ფონდი სახალხო მეურნეობაში	104,6
მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ფულადი ხელფასი	101,8
კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება	105
მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები	105,5
რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	104,5
საცალო საქონელბრუნვა	106.3
საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა	103,9
საცხოვრებელი სახლების საერთო ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემა	93,8
შრომის ნაყოფიერება:	
მრეწველობაში	108,7
კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში	105,4
მშენებლობაში	107
მოგება სახალხო მეურნეობაში (შესაბამისი ფასებით)	113

მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი წლის მანძილზე გადიდდა 458 მილიონი მანეთით.

სამრეწველო პროდუქციამ 1974 წელს შეადგინა 5.682 მილიონი მანეთი და წლის მანძილზე 533 მილიონი მანეთით გაიზარდა.

წარმოებულია 73 მილიონ მანეთზე მეტი **სოფლის მეურნეობის პროდუქცია**, რაც თითქმის 13 პროცენტით აღემატება 1971-1973 წლების საშუალო წლიურ წარმოებას.

სახალხო მეურნეობაში ამოქმედდა 1.235 მილიონი მანეთის საერთო ღირებულების **ძირითადი ფონდები.**

I. მრეწველობა

სამრეწველო წარმოების მატებამ 1973 წელთან შედარებით დაგეგმილი წრის მიხედვით შეადგინა 11,4 პროცენტი, აქედან რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში — 11,1 პროცენტი, მაშინ როცა გეგმა 9,0 პროცენტს ითვალისწინებდა.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამრეწველო წარმოების, მათ შორის სახალხო-სამეურნეო გეგმით დაუმტკიცებელი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ვაჭრობის სამინისტროების, სამომხმარებლო კოოპერაციის, კოლმეურნეობებისა და სხვა დამხმარე საწარმოების სამრეწველო პროდუქციის მატებამ შეადგინა 10,3 პროცენტი. გადაჭარბებულია მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა და წარმოების წლიური გეგმა. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 135,8 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქცია 1973 წელთან შედარებით გაიზარდა:

ელექტროენერგეტიკა	5 პროცენტით
სათბობის მრეწველობა	4 „
შავი მეტალურგია	5 „
ფერადი მეტალურგია	7 „
ქიმიური და ნავთობ-ქიმიური მრეწველობა	11 „
მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება	12 „
ხე-ტყის, ხისდამუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	9 „
საშენ მასალათა მრეწველობა	9 „
მსუბუქი მრეწველობა	12 „
კვების მრეწველობა	13 „
კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სოფლახო საქონლის წარმოება	8 „

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზარდა 8,7 პროცენტით წლიური გეგმით გათვალისწინებული 5,9 პროცენტის ნაცვლად (გაანგარიშებით); შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით მიღებულია პროდუქციის მატების 84,6 პროცენტი. შესრულებულია მოგების გეგმა; მოგება 19 პროცენტით გაიზარდა.

ცალკეულ სამინისტროებში პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებამ და წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა შეადგინა:

	პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმის შესრულება პროცენტი	1974 წელი პროცენტით 1973 წელთან შედარებით	
		წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
ხე-ტყისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	103	110	109
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	100,6	112	111
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	103	113	110
კვების მრეწველობის სამინისტრო	103	115	111
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	106	113	107
დამზადების სამინისტრო	105	108	104
მშენებლობის სამინისტრო	95	102	104
სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	102	117	106
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	100,7	109	107

ქალაქ თბილისში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებამ და წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა შეადგინა:

	პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმის შესრულება პროცენტი	1974 წელი პროცენტით 1973 წელთან შედარებით	
		წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
ქალაქი თბილისი	102	110	108
აფხაზეთის ასსრ	103	107	107
აჭარის ასსრ	104	105	105
სამხრეთ ოსეთის აო	102	113	110

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები

(დასასრული)

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებას მთლიანად რესპუბლიკაში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	წარმოებულია 1974 წელს	1974 წელი პროცენტებით 1973 წლის შედარებით
ელექტროენერგია (საერთო სარგებლობის ელექტროსადგურები და ბლოკსადგურები) — მილიონი კილოვატსაათი	11116	105
ქვანახშირი — ათასი ტონა	2152	102
მანგანუმის მადანი — ათასი ტონა	1819	107
თუჯი — ათასი ტონა	761	105
ფოლადი — ათასი ტონა	1431	103
შავი ლითონების ნაგლინი — სულ ათასი ტონა	1215	105
აქედან მზა ნაგლინი	1206	104
ფოლადის მილები:		
მილიონი მეტრი	26,8	104
ათასი ტონა	499	102
მინერალური სასუქები — ათასი ტონა:		
პირობითი ერთეული	672	104
საკვებ ნივთიერებათა 100 პროცენტიან შემცველობაზე გადაანგარიშებით	138	104
ქიმიური ბოჭკო — ათასი ტონა	14,3	109
ცვლადი დენის ელექტრომძრავები — ათასი კილოვატი	31,9	139
სატვირთო ავტომობილები — ცალი	17025	104
ავტომობილის სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	17,9	103
ლითონსაჭრელი ჩარხები:		
ცალი	4062	103
მილიონი მანეთისა	29,5	104
სამაგისტრალო ელმავლები:		
ცალი	105	101
ათასი ცხენის ძალა	746	101
ცემენტი — ათასი ტონა	1601	104
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	69,2	102
ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციები და დეტალები (საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციების წარმოების გარდა) — ათასი კუბური მეტრი	1146	103
ქაღალდი — ათასი ტონა	36	91
ავეჯი — მილიონი მანეთისა	56,7	113
ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი:	101,1	103
ბამბისა	53,1	101
აბრეშუმისა	40.2	105
შალისა	7.8	101
წინდები — მილიონი წყვილი	22,1	103
ტრიკოტაჟის საცვალი — მილიონი ცალი	18,4	106
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	18,0	144
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	13,3	103
ხორცი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ათასი ტონა	63,3	116
ძეხვეული — ათასი ტონა	21,8	105
ცხიმიანი ყველი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ათასი ტონა	16,1	113
კონსერვები (საბჭოთა მეურნეობების წარმოების გარდა) — მილიონი პირობითი ქილა	300	108
მცენარეული ზეთი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ათასი ტონა	15,9	158
მარგარინის ნაწარმი — ათასი ტონა	22,9	111
კარაქი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან — ტონა	1073	107
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ათასი ტონა	137	110
ხარისხოვანი ნატურალური დაფასოებული ჩაი — ათასი ტონა	28,8	122
ყურძნის ღვინო (კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის შინ წარმოების გარდა) — ათასი დეკალიტრი	14211	117
შამპანური — ათასი ბოთლი	12832	109

ამავე დროს მრეწველობის მუშაობაში იყო ზოგიერთი ნაკლიც. საწარმოთა ნაწილმა ვერ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და დაგროვების დადგენილი დავალებანი. მთლიანად ვერ შესრულდა ლითონსაჭრელი ჩარხების, შალის ქსოვილების, ტყავის ფეხსაცმლის, ავეჯისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმა; ყველგან როდია უზრუნველყოფილი საჭირო ასორტიმენტისა და სათანადო ხარისხის ნაწარმის გამოშვება. ბევრი საწარმო ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებს წარმოების შემდგომი გადიდების რეზერვებს, ირის ნაკლოვანებანი საწარმოო სიმძლავრეთა, სამუშაო დროისა და ნედლეულის გამოყენებაში.

II. სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის მშრომელებმა 1974 წელს არახელსაყრელი ამინდის პირობებში ორგანიზებულად მოაწყეს საოფლოსამეურნეო სამუშაოები და გაზარდეს ყველა ძირითადი კულტურის მოსავლიანობა. გადიდდა ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის წარმოება. მნიშვნელოვნად მეტია დამზადებული მემცენარეობისა და მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტები, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შესყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

მიწათმოქმედების ძირითადი პროდუქტების წარმოებამ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა (ათასი ტონა):

	საშუალოდ წელიწადში 1966-1970 წ.წ.	1971-1973 წ.წ.	1973 წ.	1974 წ.
მარცვლეული	641,7	680,7	796,4	801.9
მზესუმზირა	15,5	17,3	22,7	24,6
შაქრის ჭარხალი (საფაბრიკო)	138,3	130,4	119,1	121,3
კარტოფილი	227.3	206,3	233,2	291.5
ბოსტნეული	257,8	336,8	368,7	435,3
ხილი	294,0	341,9	380.9	360,5
ყურძენი	436,3	376,9	411,9	453,3
ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი	231,0	277,3	289,5	312,2

გასულ წელს მარცვლეულის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ყურძნის, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება მნიშვნელოვნად მეტი იყო, გიდრე 1973 წელს. საშუალოდ 1971-1973 წლებში წარმოებულია 41 პროცენტით მეტი კარტოფილი, ბოსტნეული — 29 პროცენტით, ყურძენი — 20 პროცენტით, მარცვლეული — 18 პროცენტით, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 13 პროცენტით მეტი.

1973 წელთან შედარებით გასულ წელს სახელმწიფოს მიეყიდა 61 პროცენტით მეტი კარტოფილი, ყურძენი — 43 პროცენტით, ბოსტნეული — 24 პროცენტით, ხილი — 13 პროცენტით, ჩაის ფოთოლი — 8 პროცენტით მეტი.

კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ორგანიზებულად ასრულებენ 1975 წელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მთლიანი მოსავლის შემდგომი ზრდის უზრუნველყოფის სამუშაოებს. საშემოდგომო მარცვლეული კულტურების ნათესმა ფართობებმა მიმდინარე წლის მოსავლისათვის შეადგინა 175,1 ათასი ჰექტარი ანუ გეგმის 101 პროცენტი; მზრალად მოხნულია 189,2 ათასი ჰექტარი ანუ გეგმის 110 პროცენტი. გასულ წელთან შედარებით შეკეთებულია მეტი ტრაქტორები და სატვირთო ავტომობილები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უზრუნველყოფილია საგაზაფხულო კულტურების თესლით.

საზოგადოებრივ მეურნეობაში უზრუნველყოფილია ყველა სახეობის პირუტყვის სულადობის ზრდა, ცხვრისა და თხის გარდა.

პროდუქტიული პირუტყვის სულადობამ შეადგინა (ათასი სული):

	1 იანვრისათვის 1974 წ.	1975 წ.	1975 წელი პროცენტებით 1974 წლისთან შედარებით
ყველა კატეგორიის მეურნეობანი			
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	1528,3	1509,6	99
აქედან ძროხა და ფურკამეჩი	602.6	590.0	98
ღორი	699,2	739,2	106
ცხვარი და თხა	2094,1	1983,6	95
კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი და სხვა სახელმწიფო მეურნეობანი			
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	644,5	652,8	102
აქედან ძროხა და ფურკამეჩი	178,8	180,4	100,9
ღორი	296,3	309,0	104
ცხვარი და თხა	1264,9	1264,0	99,9

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას ყველა კატეგორიის მეურნეობებში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	საშუალოდ წელიწადში 1966-1970 წ.წ.	1971-1973 წ.წ.	1973 წ.	1974 წ.
ხორცი (ნაკლავი წონა)— ათასი ტონა	100,3	117,1	122,2	125,2
რძე — ათასი ტონა	498,2	508,9	509,3	518,0
კვერცხი — მილიონი ცალი	346,3	448,3	494,2	506,9
მატყლი — ათასი ტონა	5,0	5,0	5,2	5.3

1974 წელს ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის წარმოების მოცულობამ გადააჭარბა ამ პროდუქტების წარმოების 1973 და 1971-1973 წლების დონეს.

ერთი ძროხის საშუალო წველადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამავე პერიოდში გაიზარდა 7 პროცენტით, მოქცეულის საშუალო კვერცხმდებლობა — 2 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვამ ყველა კატეგორიის მეურნეობებში შეადგინა:

	საშუალოდ წელიწადში 1966-1970 წ.წ.	1971-1973 წ.წ.	1974 წ.
პირუტყვი და ფრინველი — ათასი ტონა:			
ცოცხალი წონა	63,7	93,1	110,9
ხაფანგ წონაზე გადაანგარიშებით	38,7	58,3	72,2
რძე — ათასი ტონა	157,5	185,3	210.6
კვერცხი — მილიონი ცალი	122,1	210,3	275,1

პირუტყვის, ფრინველის, რძისა და კვერცხის შესყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

კოლმეურნეობათა მთლიანმა შემოსავალმა გასულ წელს შეადგინა 349 მილიონი მანეთი, რაც 7 პროცენტით მეტია, ვიდრე 1973 წელს და 10 პროცენტით მეტი, ვიდრე საშუალოდ 1971-1973 წლებში. კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება ერთ კაცდღეზე 1973 წელთან შედარებით 3,5 პროცენტით გაიზარდა.

რესპუბლიკის **საბჭოთა მეურნეობებმა** მთლიანად მოგებით დაამთავრეს გასული წელი.

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ პირობებში 1974 წლის დამლევისათვის მუშაობდა რესპუბლიკის ყველა საბჭოთა მეურნეობის 90 პროცენტი.

ხორციელდებოდა **სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის** შემდგომი განმტკიცება.

სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების **კაპიტალურმა დაბანდებებმა** სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საერთო მთელ კომპლექსში შეადგინა 328,7 მილიონი მანეთი, აქედან სახელმწიფოს კაპიტალდაბანდებებმა — 248,1 მილიონი მანეთი და კოლმეურნეობებისამ — 80,5 მილიონი მანეთი. 1973 წელთან შედარებით სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალური დაბანდებანი გაიზარდა 8,4 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობიდან საირიგაციო-სამელიორაციო მშენებლობაში სახელმწიფომ და კოლმეურნეობებმა დაბანდეს 89,5 მილიონ მანეთზე მეტი, ანუ 12,9 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს.

1974 წელს რესპუბლიკის **სოფლის მეურნეობამ** მიიღო: 157 ათასი ცხენისძალის სიმძლავრის 2.910 ტრაქტორი, აქედან 791 სახნავი, 2.703 სატვირთო და სპეციალიზებული ავტომობილი, მათ შორის 190 სპეციალიზებული, 169 მარცვლის ასაღები, 9 ჭარხლის ასაღები, 350 სიოლოსის ასაღები და 98 სიმინდის ასაღები კომბაინი, 159 მწკრივული სამკელი მანქანა, 197 ტრაქტორის გუთანი, 30 საოშავი მანქანა, 1.131 კულტივატორი, 982 სათესი მანქანა, 965 სათიბელა, 252 ფოცხი, 61 უნივერსალური სატვირთელა, 288 დასაწვიმებელი მანქანა, 588 მინერალური სასუქების მომბნევი მანქანა, 241 ორგანული სასუქების მომბნევი მანქანა, 15 უნივერსალური სასუქის შემტან-შემსხურებელი მანქანა, 425 წნეხ-ამკრები, 181 საწველი დანადგარი 152 მარცვლეულის საწმენდი მანქანა.

გასულ წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მიიღო 768 ათასი ტონა **მინერალური სასუქები** და 2,2 ათასი ტონა საკვები ფოსფატები. მინერალური სასუქების მიწოდება 1973 წელთან შედარებით გაიზარდა 36 ათასი ტონით.

ტყეთაღდგენის სამუშაოები განხორციელდა 29,7 ათას ჰექტარ ფართობზე, მათ შორის ტყე დათესა და დაირგო 11,4 ათას ჰექტარ ფართობზე. ამასთან მოეწყო ხრამების, ღელეების, ქვიშრობისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სხვა მოუმარჯვებელი მიწების გამაგრება და მოტყევება 3,5 ათას ჰექტარზე. ტყეთა აღდგენის სამუშაოთა წლიური გეგმა შესრულდა.

III. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ამიერკავკასიის რკინიგზამ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ტვირთის, ქვანახშირის, ნავთობის, მადნის შავი ლითონებისა და მინერალური სასუქების გადაზიდვის გეგმა.

1973 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ტვირთის გაგზავნის საერთო მოცულობა გაიზარდა 3,5 პროცენტით.

შესრულდა ვაგონების საშუალო სადღეღამისო დატვირთვის გეგმა. დატვირთვის მოცულობა 1973 წელთან შედარებით გაიზარდა 5.3 პროცენტით. არ შესრულებულა ვაგონის სამუალო სადღეღამისო მწარმოებლობის გეგმა. ამ მაჩვენებლის დონე შარშანდელზე დაბალია.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა 3,6 პროცენტით გაზარდა ტვირთზიდვის მოცულობა, მათ შორის ცენტრალიზებული ტვირთზიდვის მოცულობა — 3,0 პროცენტით. შესრულდა მგზავრთა გადაყვანისა და მგზავრთბრუნვის გეგმა. 1973 წელთან შედარებით მგზავრების გადაყვანა გაიზარდა 2,5 პროცენტით, ხოლო მგზავრთბრუნვა — 4,3 პროცენტით. მსუბუქი ტაქსომოტორების ფასიანი გარბენის გეგმა შესრულდა 101,6 პროცენტით, 1973 წელთან შედარებით ფასიანი გარბენი გაიზარდა 7,4 პროცენტით.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს **საჰაერო ტრანსპორტმა** გადაჯარბებით შეასრულა მგზავრთა გადაყვანის, ფოსტისა და სხვა ტვირთის გადაზიდვის წლიური გეგმა. 1973 წელთან შედარებით გადაყვანილია 4,2 პროცენტით მეტი მგზავრი, გადაზიდულია 6,8 პროცენტით მეტი ფოსტა. მაგრამ მგზავრთბრუნვის გეგმის შესრულებას დააკლდა 3,5 პროცენტი.

საქართველოს საზღვაო სანაოსნომ ტვირთზიდვის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ ტვირთბრუნვის გეგმის შესრულებას დააკლდა 4 პროცენტი. 1973 წელთან შედარებით სატრანსპორტო ფლოტმა გადაზიდა 2.8 პროცენტით მეტი ტვირთი, ხოლო სანავსადგურო ფლოტმა — 20,9 პროცენტით ნაკლები ტვირთი.

მთლიანად ყველა სახეობის ტრანსპორტზე **მოგება** გაიზარდა 8 პროცენტით. მოგების გეგმა შესრულდა.

1974 წელს გაიზარდა კავშირგაბმულობის საწარმოთა ქსელი. გაიხსნა კავშირგაბმულობის 35 ახალი განყოფილება. საქალაქო ავტომატური სატელეფონო სადგურების სიმძლავრე წლის განმავლობაში გაიზარდა 10650 ნომრით, რაც გეგმის 78,3 პროცენტს შეადგენს და 15,6 პროცენტით აღემატება 1973 წლის დონეს. სოფლად სატელეფონო სადგურების სიმძლავრე წლის განმავლობაში გაიზარდა 4.800 ნომრით, რაც წლიური გეგმის 117,8 პროცენტია.

კავშირგაბმულობის საწარმოთა (ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი, რადიო) პროდუქციის საერთო მოცულობის გეგმა შესრულდა 101,2 პროცენტით. 1973 წელთან შედარებით პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 9,1 პროცენტით.

IV. კაპიტალური მშენებლობა

გასულ წელს აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა ბევრი საწარმოო სიმძლავრე, საცხოვრებელი სახლი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი.

უმნიშვნელოვანეს საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებას ახალი საწარმოების მშენებლობის, მოქმედი საწარმოების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის გზით ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1974 წელს ამოქმედებული სიმძლავრეები.
ᲔᲡ კილოვატი და მეტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები — კილომეტრი	181
მოპოვების სიმძლავრეები:	
მანგანუმის მადნისა — ათასი ტონა	450
საწარმოო სიმძლავრეები:	
თუჯის სხმულისა — ათასი ტონა	17
0,25-დან 100 კილოვატამდე სიმძლავრის ცვლადი დენის ელექტროძრავა — ათასი ცალი	100
ელექტროსაზომი ხელსაწყოები — მილიონი მანეთის	2
ავეჯი — მილიონი მანეთის	1.9
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალებისა — ათასი კუბური მეტრი	86,7
ლითონკონსტრუქციებისა — ათასი ტონა	16
სანიტარიულ-ტექნიკური კაბინები — ათასი ცალი	2,5
საკვლევ ბლოკები — პირობითი ავტრისა მილიონი ცალი	10
სასაქონლო ბეტონისა — ათასი კუბური მეტრი	115
საფეიქრო-საგალანტერეო ნაწარმი — მილიონი მანეთის	2,1
ბოსტნეულისა და ხილის კონსერვები — წელიწადში მილიონი პირობითი ქილა	3,6
პირველადი გადამუშავების სიმძლავრეები:	
ყურძნისა — ათასი ტონა სუზნაში	8
ჩაის მწვანე ფოთლისა — ათასი ტონა წელიწადში	14.6
პურის საცხობი სიმძლავრეები — ტონა ცვლაში	68
მაცივრები — ათასი ტონა ერთდროული შენახვისა	11,2
ნაოთობტევადობანი — ათასი კუბური მეტრი	25.5

საწარმოო სიმძლავრეები მოქმედ საწარმოებში გარდა ამისა გაიზარდა წარმოების მექანიზაციის, ინტენსიფიკაციის, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების, მოწყობილობის მოდერნიზაციის, მოქმედი აგრეგატების რეკონსტრუქციისა და სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად.

ამოქმედდა 11 ახალი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო, აგრეთვე ბევრი ახალი საამქრო **და** წარმოება მოქმედ საწარმოებში:

გასულ წელს მწყობრში ჩადგა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებული პირველი სიმძლავრე — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, რომელიც წელიწადში მოიპოვებს და გადაამუშავებს სპილენძის მადანს.

სოფლის მეურნეობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების სახსრებით აშენებული 17,2 ათასი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, 3.7 ათასი ღორის, 53,3 ათასი სული ცხვრისა და 23,0 ათასი ფრინველის შესანახი სადგომები.

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ამოქმედდა სოფელ გირრგიწმინდის წელიწადში 12 ათასი ღორის სასუქებელი კომპლექსის II რიგი.

გაიზარდა მეფრინველეობის ფაბრიკების სიმძლავრეები წელიწადში 239 ათასი მოქცეულითა და 2 მილიონი ფრთა ფრინველით. მწყობრში ჩადგა გამაჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის მეორე რიგი, **რომელიც** გათვალისწინებულია წელიწადში 2 მილიონი ფრინველისათვის და ოჩამჩირის მეფრინველეობის ფაბრიკა, **რომელიც** გათვალისწინებულია 200 ათასი მოქცეულისათვის.

„საქსოფლტექნიკის“ სისტემის ორგანიზაციებში საექსპლოატაციოდ გადაეცა მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების, კირის მასალების 11.9 ათასი ტონა ერთდროული შენახვის საწყობები, აიგო საგარეჯოს ავტოსარემონტო ქარხანა წელიწადში 2,6 ათასი პირობითი კაპიტალური რემონტისათვის.

საექსპლოატაციოდ გადაეცემული**ა** 11,6 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწები, აქედან სარწყავი კულტურული საძოვრები — 3,0 ათასი ჰექტარი. ამოშრობილია 9,0 ათას ჰექტარზე მეტი გადაჭარბებინიანებული და დაჭაობებული მიწები, შესრულებულია 11,9 ათასი ჰექტარი საძოვრების გაწყლოვანების სამუშაოები.

კაპიტალურმა დაბანდებებმა სახალხო მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროდ ან, მათ შორის კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის დანახარჯების ჩათვლით შეადგინა 1260 მილიონი მანეთი. 1973 წელთან შედარებით მთელი კაპიტალური დაბანდება 7 პროცენტით გაიზარდა.

შრომის ნაყოფიერება მშენებლობაში გაიზარდა 7 პროცენტით.

საკუთარი ძალებით შესრულებულ **საიჯარო სამუშაოთა** მოცულობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 8 პროცენტით, საიჯარო სამუშაოთა გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით.

საკუთარი ძალებით შესრულებულ **საიჯარო** სამუშაოთა გეგმის შესრულება, მათი მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი ცალკეულ სამინისტროებში, უწყებებსა და ტრესტებში ასეთია:

	საიჯარო სამუშაოთა გეგმის შესრულება პროცენტებით	1974 წელი პროცენტებით 1973 წელთან შედარებით: საიჯარო სამუშაოთა მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო	100.2	107	106
საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	101	114	109
საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო	98,6	104	107
„საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ მთავარი სამმართველო	101	101	103
ენგურჰესის მშენებლობის სამმართველო	107	120	116
„საქპიდროენერგომშენის“ ტრესტი	105	100,3	104
„საქსოფლელექტრომშენის“ ტრესტი	105	108	108
„აღმოსავლეთელექტროქსელმშენის“ ტრესტი	119	114	109
ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტი	106	109	108
„თბილგეგირბაბმშენის“ სამმართველო	115	106	100
„ინგმშენის“ ტრესტი	104	115	107

საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა გაიზარდა 0,3 პროცენტით.

1974 წელს დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით მუშაობდა 18 სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი, რომლებმაც საკუთარი ძალებით შეასრულეს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში საიჯარო სამუშაოთა მთელი მოცულობის 26.7 პროცენტი.

გასულ წელს ხორციელდებოდა მუშაობა მშენებლობის ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლებისათვის. მთლიანასაწყობი მშენებლობის მოცულობა 1973 წელთან შედარებით გაიზარდა 17 პროცენტით, ამასთან 5 პროცენტით გაიზარდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

მოგება მშენებლობაში გაიზარდა 20 პროცენტით და მეტად.

მშენებლობაში კვლავ არის არსებითი ნაკლოვანებანი: სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის მთელ რიგ დარგებში არ შესრულებულა ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედების გეგმა; ცალკეული მშენებლობანი ჩაშორრებიან სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულებაში, დროულად არ არიან უზრუნველყოფილი მოწყობილობითა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხო დოკუმენტაციით. მთელ რიგ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს არ შეუსრულებიათ საიჯარო სამუშაოთა, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მოგების გეგმა.

V. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი

რესპუბლიკაში წარმატებით ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რამაც ხელი შეუწყო საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებასა და ეროვნული შემოსავლის ზრდას.

მეცნიერ მუშაკთა რიცხვმა 23 ათასს გადააჭარბა.

ქვეყნთ მოვკვაყვს 1974 წლის ტექნიკური პროგრესის დამახასიათებელი ზოგიერთი მაჩვენებელი:

შექმნილია ახალი ტიპის მანქანების, მოწყობილობის, აპარატების, ავტომატიზაციის ხელსაწყოებისა და საშუალებების ნიმუშები	40-მდე დასახელებისა
ათვისებულია და დაიწყო ახალ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის სერიული გამოშვება	100-ზე მეტი დასახელებისა
წარმოებიდან მოხსნილია მოძველებულ კონსტრუქციათა მანქანები, მოწყობილობა, აპარატები, ხელსაწყოები და ნაკეთობანი	20-მდე დასახელებისა
მოდერნიზებულია საწარმოო მოწყობილობა სამრეწველო საწარმოებში	1000-ზე მეტი ერთეული
სამრეწველო საწარმოებში დადგმულია:	
მექანიზებული ნაკადური ხაზები	60-ზე მეტი კომპლექტი
ავტომატური ხაზები	10 კომპლექტი
შექმნილია წარმოების აღრიცხვის, დაგეგმვისა და მართვის ავტომატიზებული სისტემები	10 სისტემა

ხარისხის სახელმწიფო ნიშანი აქვს 1975 წლის 1 იანვრისათვის 201 ნაწარმს
აქედან 1974 წელს მიენიჭა 98 ნაწარმს

სახალხო მეურნეობაში დაინერგა 22 ათასამდე გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც 34 მილიონ მანეთ ეკონომიას იძლევა წელიწადში.

VI. ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო-წლიურმა რიცხვმა სახალხო მეურნეობაში 1642 ათასი შეადგინა და წლის განმავლობაში 34 ათასით, ანუ 2,1 პროცენტით გაიზარდა. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობაში დასაქმებულ კოლმეურნეთა საშუალო-წლიურმა რიცხვმა შეადგინა 379 ათასი კაცი. მატერიალური წარმოების დარგებში მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი რამდენადმე გაიზარდა. მუშაკთა რიცხვი ჯანმრთელობის დაცვაში, განათლებაში, მეცნიერებასა და სამეცნიერო მომსახურებაში, საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებასა და სხვა არასაწარმოო დარგებში 1 პროცენტით გაიზარდა.

რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ერთ წელიწადში 4,5 პროცენტით გადიდდა.

მუშა-მოსამსახურეთა საშუალო-თვიურმა ფულადმა ხელფასმა 115,6 მანეთი შეადგინა 1973 წლის 113,5 მანეთთან შედარებით და 1,8 პროცენტით გაიზარდა. ხელფასი საზოგადოებრივი ფონდებიდან მიღებული დახმარებისა და შეღავათების დამატებით 1973 წლის 158,5 მანეთიდან 160,6 მანეთამდე გადიდდა. **კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება** 5 პროცენტით გაიზარდა.

დახმარებამ და შეღავათებმა, რომლებიც მოსახლეობამ მოიხმარეს საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო, დაახლოებით 1.300 მილიონი მანეთი შეადგინა, რაც 68 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე 1973 წელს.

გასულ **წელს მოიხმარების საზოგადოებრივი ფონდიდან ხარჯზე** დადგენილია დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო სრული ხელფასის ოდენობით ყველა მომუშავე ქალისათვის შრომითი სტაჟის მიუხედავად, შემოღებულია დახმარება ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისათვის და ვაუმჯობესებულია ინვალიდებისა და იმ ოჯახების პენსიით უზრუნველყოფა, რომლებმაც მარჩენალი დაკარგეს.

მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში 141 მილიონი მანეთით გაიზარდა.

დაიწყო სახელმწიფო სესხების ობლიგაციათა ვადამდე დაფარვა.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვამ** შეადგინა 2931,4 მილიონი მანეთი და 1973 წელთან შედარებით, შესადარ ფასებში, 173,7 მილიონი მანეთით გაიზარდა. საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში 95,9 პროცენტით შესრულდა.

ცალკეული საქონლის გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შემდეგნაირად შეიცვალა:

	გაიყიდა 1974 წელს პროცენტებით 1973 წელთან შედარებით
პურეული პროდუქტები	99
ხორცი და ხორცის პროდუქტები	118
თევზი და თევზის პროდუქტები	111
კარაქი	105
მცენარეული ზეთი	105
მარგარინი	104
მოუხდელი რძის პროდუქცია	107
ყველი	123
კვერცხი	108
შაქარი	101
საკონდიტრო ნაწარმი	97
ჩაი	108
კარტოფილი	102
ბოსტნეული	126
ხილი	159
ტანსაცმელი, თეთრეული და ქსოვილები	102
ტრიკოტაჟის ნაწარმი	105
წინდა	105
ტყავის ფეხსაცმელი	107
ფეიფურ-ქამანურისა და მინის ჭურჭელი	106
სამეხი	104
სინთეზური სარეცხი საშუალებანი	113
ავეჯი	99
მაცივრები	97
სარეცხი მანქანები	93
ელექტრომტვერსასრუტები	110
საათები	102
ფოტოაპარატები	109
მოტოციკლები და მოტოროლერები	100
ველოსიპედები და მოტოველოსიპედები	105
რადიომიმღებები და რადიოლები	106
ტელევიზორები	103
მსუბუქი ავტომობილები	150

მიუხედავად იმისა, **რომ** გაიზარდა **საქონლის** გაყიდვა, ჯერ კიდევ ვერ კმაყოფილდება მთლიანად მოსახლეობის მზარდი მოთხოვნა ზოგიერთ საქონელზე.

მოსახლეობისათვის გაწეული **საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა** გაიზარდა 3,9 პროცენტით, მაგრამ წლიური გეგმა რამდენადმე ვერ შესრულდა. მიუხედავად იმისა, **რომ** გადიდდა საწარმოთა რიცხვი სოფლად, საყოფაცხოვრებო **სამსახური ჯერ კიდევ არ** შეესაბამება მზარდ მოთხოვნებს.

სახელმწიფოს, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის **სახსრებით** საექსპლოატაციოდ გადაეცა 29 ათასი ახალი კეთილმოწყობილი ბინა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი, რომელთა საერთო ფართობი 1 826 ათასი კვადრატული მეტრია. შარშან საბინაო პირობები გაეუმჯობესა 158 ათასმა კაცმა.

აშენდა და ამოქმედდა ახალი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები 40,4 ათასი მო

შრომასა და ბრძოლაში

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

I.

თენგიზ ბუაჩიძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი.

□

ისე, როგორც ყოველთვის, ამ ბოლო ორი წლის მანძილზე, ახლაც თავის მორიგ, მნიშვნელობით მეტად დიდ პლენუმზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხელი ჩასვა ჩვენი პარტიული ცხოვრების ერთ-ერთ იმ მთავარ რგოლს, რომლის ამოზიდვა, გამაგრება და განწმენდა განმტკიცებს, უფრო მონოლითურს, მოქნილსა და ჯანსაღს ხდის მთელს პარტიულ ცხოვრებას რესპუბლიკაში, საზოგადოების ყოველი უჯრედის, მთელი მშრომელი ხალხის ცხოვრებას.

იმის გათვალისწინებით, რომ კონტროლისა და შემოწმების ქმედითობას განსაზღვრავს საქმის ფაქტიური გაუჯობესება და კონკრეტული, პრაქტიკული შედეგების მიღწევა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე ყოველმხრივი ანალიზი გაუკეთდა სახალხო მეურნეობაში არსებულ მდგომარეობას, ღრმა კმაყოფილებით აღინიშნა მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კაპიტალურ წმენებლობაში, მეცნიერებასა და კულტურაში, მომსახურების სფეროში მიღწეული წარმატებები და მეცნიერულად დასაბუთებული პროგნოზირებით განისაზღვრა ხუთწლიანი გეგმის შესრულების პერსპექტივები.

პლენუმმა აღნიშნა მნიშვნელობა ძერები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მაგრამ ამასთან ერთად ისიც მკაფიოდ ითქვა, რომ მდგომარეობა რესპუბლიკის ეკონომიკაში კვლავ დაძაბული და საგანგაშოა, რომ ძველი შეცდომების სიმძიმე ზოგან ხელს ხდის მეცხრე ხუთწლეულის დავალებების შესრულებას.

სრული პასუხისმგებლობის შეგნებით ითქვა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწეული მცირედი წარმატებები არავითარ შემთხვევაში არ გვაძლევს თვითდამშვიდების, თვითკმაყოფილებისა და ყოყოჩობის უფლებას.

ზემოთქმულის პოზიციიდან, რომ გადავხედოთ უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენი მწერლების საქმიანობას, მართლაც, კმაყოფილების გრძნობით შეიძლება აღინიშნოს, რომ ქართველი მწერლების მოქმედი და უველაზე უფროს აქტიური რაზმი, როგორც ტყვიაზე, ხელდაკაბიწებული შეუდგა თავისი ხაპატიო მოვალეობის შესრულებას მშრომელთა დარაზმვის, მათი მიღწევების, შრომითი თავდადების ასახვის საქმეში.

უმეტესად დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, ნიჭიერად დაწერილ ნარკვევებში, მაღალმხატვრულ ლექსებში, პოემებსა და მოთხრობებში ქართველმა მწერლებმა უკვე შეძლეს მრავალი სერიოზული პრობლემის დაყენება და გაშუქება, მშრომელი ხალხის ყველაზე მოწინავე წარმომადგენლების, გამრჯე ადამიანთა მხატვრული სახეების შექმნა, შრომის პათოსის ჩვენება.

მაგრამ რამდენი დაიბეჭდა და გაბეჭდება ფსევდომხატვრული ნაწარმოები, რომელიც სინამდვილეში არაფერს ასახავს, არაფრისაკენ არ მოუწოდებს და მხოლოდ ხმაყოლილი კაცის ერთადვარი ვალის მოხდის შეაბეჭდილებას ახდენს?

კიდევ ერთხელ უნდა ითქვას ქართველ ერ ნაოქვამი (ეს ეხება ზემოქმედების ყველა დარგს — მწერლობას, თეატრს, კინოხელოვნებას, მხატვრობას, მუსიკას...) — ზოგიერთი უნიჭო ადამიანის ხელში ხდება სრული დისკრედიტაცია ჩვენთვის ძვირფასი, პარტიული, აქტუალური თემისა, ამიტომ ვერავითარი ე. წ. „იდეური“ თემა ვერ უშველის ნაწარმოებს, თუ იგი არ არის აყვანილი სათანადო მხატვრულ ხარისხში.

ის, რაც ქართველმა მწერლებმა უკვე გააკეთეს ხუთწლედის ეტაპზე აქტუალური პრობლემების დაყენების, მაღალმხატვრული და მაღალიდეური ნაწარმოებების შექმნისათვის სადღეისო თემებზე, ფრთხილად დასაწყისია, ჯერ მხოლოდ მცირე წვლილია იმ უზარმაზარი ამოცანების გადაჭრის საქმეში, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას.

II.

პლენუმზე სერიოზული უურადღება დაეთმო პარტიული ორგანიზაციის მხრივ ადმინისტრაციის კონტროლის საკითხს.

კონტროლს რომ გაუწევს ადმინისტრაციას, პარტორგანიზაციას კონტროლს გაუწევს თავის თავსაც. ამასთან ადმინისტრაციის კონტროლი არ უნდა არღვევდეს ერთმმართველობის პრინციპს, არ უნდა ნიშნავდეს უნდობლობას ხელმძღვანელობისადმი, არამედ, პირიქით, ხელს უნდა უწყობდეს კოლექტივის ერთ მძლავრ ორგანიზმად შეკავშირებას.

როგორ მუშაობს ზემოთქმულის შესაბამისად მწერალთა კავშირის პარტორგანიზაცია? უკანასკნელ დროს ჩვენმა პარტორგანიზაციამ ერთგვარად გააუმჯობესა თავისი მუშაობა, იგი ბევრ უფრო მეტ გავლენას ახდენს საკითხების სწორად გადაჭრაზე. შეიქმნა საინტერესო სეხნარი პარტიული განათლების სკოლაში, პარტიაბერო ცდილობს უფრო ღრმად ჩაიხედოს მწერალთა კავშირთან არსებული ორგანიზაციების — გამომცემლობის, ჟურნალ-გაზეთების რედაქციების საქმიანობაში.

მაგრამ, პირდაპირ ვთქვათ, ჩვენი პარტიული ორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ დგას იმ სიმაღლეზე, რომელიც მას შეეფერება. ცხადია, ამას თავისი სპეციფიკური მიზეზები აქვს, მაგრამ ეს თავადვა ყველა კომუნისტმა, ეს უმეტეს მწერალთა ორგანიზაციის ყველა პარტიულმა ხელმძღვანელმა მკაფიოდ შეიგნოს თავისი უფლება-მოვალეობა, კეთილსინდისიერად, სრული კომუნისტური პასუხისმგებლობით ფიქრობდეს მათ, შეიძინოს გამოცდილება, გამოიწროთოს პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში. უნდა გაიზარდოს და განმტკიცდეს პარტიული ორგანიზაციის როლი მთელს სამწერლო კოლექტივში, ამაღლდეს დონე პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარებისა, სისტემატურად უნდა ვაწყდებოდეთ კომუნისტებს ინფორმაციას მიღებული დადგენილებების შესრულების შესახებ, კომუნისტების კრიტიკულ შენიშვნებზე და წინადადებებზე რეაგირების შესახებ. უნდა გაძლიერდეს გავლენა კომუნისტებზე და შეურიგებლობა ნაკლოვანებების მიმართ, კრიტიკა და თვითკრიტიკა იქცეს შესრულების კონტროლის, კომუნისტების საქმიანი და პოლიტიკური თვისებების პრინციპული შეფასების საიმედო საშუალებად, პარტორგანიზაცია მეტ გამბედაობას უნდა იჩენდეს, რათა სწორად, პარტიული მიდგომით ახდენდეს რეკომენდაციას ყოველგვარ შეუფერებელ გამოვლინებაზე რა მასშტაბისა და რანგის მწერალსაც უნდა ახასიათებდეს ამგვარი რამ.

III.

 პლენუმზე დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა ადამიანის მორალურ-ზნეობრივი პრინციპების სიმტკიცეს. თვითეული კომუნისტს, კოლექტივის ყოველ წევრს, ყველა მოქალაქეს გაძლიერებული უნდა ჰქონდეს თვითკონტროლისა და თვითდისციპლინის ღრმა გრძნობები — ის უმნიშვნელოვანესი მორალურ-პოლიტიკური და სამოქალაქო თვისებები, რომლითაც ხასიათდება საბჭოთა ადამიანის პიროვნება და ბუნება. ყველა ჩვენგანის ღრმა რწმენით, ადამიანი, რომელიც სხვებს უქადაგებს ზნეობრივ სიწმინდეს, თვით უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, ზნეობრივ-მორალურად სპეტაკი.

კარგად არის ცნობილი, თუ რა განსაკუთრებული ფიგურაა მწერალი, ან სხვა დარგის შემოქმედი ხალხის ცხოვრებაში, რა სიყვარულით, პატივისცემით, მოწიწებით ეკიდება მას ხალხი. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ამავე ხალხს მეტად აინტერესებს თავისი გამორჩეული ადამიანის პირადი ცხოვრების, ურთიერთობის, ხასიათის ყოველი წვრილმანი. შემოქმედნი გარემოცულნი არიან განსაკუთრებული ყურადღებით, ხალხი მათ „გამადიდებელი შუშით“ უყურებს და ხარბად იქერს მათ შესახებ მოარული ხმის, ჭორსა თუ მართალს.

ამიტომ მწერალს, შემოქმედს განსაკუთრებული სიფრთხილე და სიფაქიზე მართებს! ხალხი მწერალს არ აპატიებს იმას, რასაც სხვის მოქმედებაში, შეიძლება, ყურადღებასაც არ მიაქცევს.

გავიხსენოთ ჭილდოებისა და ოქროსფერების აშკარა და აქტიური მაძიებლობის სულისკვეთება ზოგიერთისა, რაც ხავსებით შეუფერებელია ჭეშმარიტი მწერლობისა და ხელოვნების წმიდათა-წმიდა ტრადიციებისათვის. ცოტა ხალხსა და დროს დაეცალონ, რაღა მაინც და მაინც საკუთარი ხელით სურთ დაიდგან თავზე ზოგიერთებმა დაფნის გვირგვინები? განა ოდესმე შემცდარა ხალხი თავისი ნამდვილად სახელოვანი შვილის ღირსეულად დფასებაში?

ნამდვილად საჭიროა, რომ ზოგჯერ უფრო ღრმად ჩავფიქრდეთ სწორედ საკუთარი თავის მორალის, ზნეობის, ბოლოს და ბოლოს, პარტიული სინდისის კატეგორიას, ვიდრე ზოგიერთი ჩვენგანი ამას დღეს აკეთებს.

პლენუმზე გამოთქმული იყო აზრი, რომ საჭიროა გავაძლიერთო ბრძოლა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების, სოციალისტური მორალისა და ზნეობის ანტიპოდების, ჩვენი კანონებისა და ნორმების დამრღვევი ელემენტების წინააღმდეგ.

გამოთქმული იყო ხერხიოზული შეშფოთება იმის გამო, რომ ვოლუნტარისტული და სუბიექტივისტური ხელმძღვანელობისა და საყოველთაო შემრიგებლობის შედეგები, რაც ახლო წარსულში რესპუბლიკაში იყო გამეფებული, ახლაც ზოგან ახდენენ გარკვეულ გავლენას, ხელს უშლიან მორალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს დამკვიდრებას.

პრინციპული ბრძოლაა გაჩაღებული, მაგრამ ჯერ კიდევ მთლიანად არ არის დაძლეული ძველ შეცდომათა მძიმე შედეგები. ინერცია გრძელდება. ბრძოლა სოციალურად საშიშ პროცესებთან — მუქთახორობასთან, პარაზიტიზმთან, გამომძალველობასთან, მექრთამეობასთან, კარიერიზმთან, მომხვეჭელობასთან, დემაგოგობასთან, ცილისმწამებლობასთან, მლიქვნელობასთან, ხალხის საკუთრებისა და საზოგადოებრივი დოვლათის დამტაცებლებთან — ჯერ კიდევ არ წარმოებს ყველგან აქტიურად, მძაფრად, გადაჭრით.

მწერალთა შემოქმედებითი ორგანიზაციის ვალია ყველაფერი იღონოს იმისათვის, რომ თავისი ბასრი იარაღით, ხალხზე ზეგავლენის უძლიერესი საშუალებებით, პირუთვნელი და პრინციპული სიტყვით თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს დამკვიდრებაში.

პარტიული ორგანიზაციების წინაშე აქტუალური ამოცანები ისახება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებულ ამოცანასთან დაკავშირებით, რომ შემდგომი, მეათე ხუთწლედი ვაქციოთ ხარისხის ხუთწლედად.

ამასთან დაკავშირებით პლენუმზე სავსებით სწორად ითქვა, რომ ჩვენ ეს გვესმის, როგორც ხარისხის ყოვლისმომცველი პრობლემა, ე. ი. საჭიროა არა მარტო წარმოებული პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესება, არამედ ცხოვრების ყველა თვისებრივი მაჩვენებლის გაუმჯობესება: მართვის, ხელმძღვანელობის, კონტროლის მაღალი ხარისხის, თვითეული ორგანოს მუშაობის მაღალი ეფექტურობის უზრუნველყოფა, ჩვენი წინსვლის დამაბრკოლებელი ყველა მოვლენის სრული ლიკვიდაცია, წარსულის ნეგატიური შედეგების აღმოფხვრისათვის უკომპრომისო, გადამწყვეტი და თანმიმდევრული ბრძოლის გაჩაღება!

კარგად არის ცნობილი, რომ საკუთარი პროდუქციის ამაღლებისათვის ბრძოლა ყოველთვის შეადგენდა ჩვენი შემოქმედებითი კავშირის ერთ-ერთ უპირველეს და უმთავრეს ამოცანას. მომავალი წლების ჩვენს მუშაობაში იგივე ამოცანა რჩება ერთ-ერთ მთავარ, ძირითად, გადამწყვეტ პრობლემად.

ამიტომ დებულება — ვაქციოთ მეათე ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედად — ჩვენ პირდაპირი მნიშვნელობითაც, პროდუქციის ამაღლების მნიშვნელობითაც და გადატანითი მნიშვნელობითაც, მთელი ჩვენი პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის ახალ ხარისხში აყვანის მნიშვნელობითაც უნდა გავიგოთ.

ეს არის ის უდიდესი ამოცანა, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირის მთელი კოლექტივის წინაშე დგას.

IV.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური დადგენილება მიიღო კრიტიკის მდგომარეობის თაობაზე. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს კრიტიკას ლიტერატურის განვითარების, ლიტერატურული ცხოვრების გააქტიურებისა და, რაც მთავარია, წარმართვის დარგში.

ერთი შეხედვით, ჩვენში ბევრი იწერება და იბეჭდება კრიტიკული წერილები, არხებობს სპეციალური ალმანახი „კრიტიკა“, კრიტიკულ წერილებს დიდ ადგილს უთმობენ ჟურნალები, ჩვენი სალიტერატურო გაზეთი.

ყოველივე ეს ასეა, მაგრამ როგორია თვით ამ კრიტიკული წერილების ხარისხი და პარტიული, წარმმართველი პათოსი? მე ვიტყოდი, რომ ხარისხი უმეტესად არ არის მაღალი, ხოლო წარმმართველი პარტიული პათოსი საერთოდ მოისუსტებს. პარადოქსია, მაგრამ ასეა. შეიძლება ვინმეს რამდენადმე გადაჭარბებულად ეჩვენოს ამგვარი სურათის დახატვა, მაგრამ აბა დავასახელოთ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებში ისეთი, რომელიც პარტიული პოზიციებიდან, სრული პირდაპირობით, ობიექტურობით და პირუთვნელობით აანალიზებდეს ახალ ძვრებს ჩვენს შემოქმედებით ცხოვრებაში, პარტიული პოზიციებიდან უსახავდეს მას განვითარების გზებსა და მიმართულებებს!

უმეტესი ჩვენი კრიტიკული წერილებისა ეს არის პირადი შთაბეჭდილებანი, მოკლებულნი მოქალაქეობრივ პათოსს, ამა თუ იმ ნაწარმოებზე ან ნეტარალური, განყენებული მსჯელობანი ავტორთა ხუთიეტაპურად შერჩეული ლიტერატურული სქემების ფარგლებში, რომლებსაც არათუ რაიმე დიდი სარგებლობა არ მოაქვთ ლიტერატურული პროცესისათვის, არამედ უმეტეს წილად იქცევიან პირადი განყენების, კულისების მიღმა ლაპარაკის მიზეზად.

ჩვენი უახლოესი ამოცანაა გავაძლიეროთ პარტიული საწყისი სალიტერატურო კრიტიკაში, გავაძლიეროთ კრიტიკის წარმმართველი როლი და მნიშვნელობა მთელს ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში. ამ გადაუდებელ საქმეს სათავეში უნდა ჩაუდგეს ალმანახი „კრიტიკა“ და ჩვენი სალიტერატურო გაზეთი, რომელიც, მართალია, ბევრ საინტერესო პრობლემურ წერილებს აქვეყნებს სხვადასხვა აქტუალურ თუ საჭირბოროტო საკითხებზე, მაგრამ პარტიული კრიტიკის პოზიცია უნდა გაძლიეროს.

ამას წინათ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება ჟურნალ „ცისკრის“ მუშაობის თაობაზე. ეს არის პარტიული დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ ჩამოყალიბებულია ყველა ჩვენი სალიტერატურო ჟურნალისათვის აუცილებელი სამუშაო პროგრამა, მოცემულია მონაპოვარის ობიექტური შეფასება და პირდაპირ მითითებულია არსებულ ნაკლოვანებებზე.

კარგად ცნობილია, რომ შემოქმედებითი კავშირების მუშაობის სახეს და ხასიათს ძირითადად განაზღვრავს შემოქმედებითი სექციების საქმიანობა. წლების მანძილზე მწერალთა კავშირის სექციები — პოეზიის, პროზის, დრამატურგიის, კრიტიკის და სხვ. — თუ სულ მცირეოდ ცხოვრებას არ ეწეოდნენ, მაინც სუსტად მუშაობდნენ. თუ ჩვენ არ გვინდა (და ცხადია, არ გვინდა!), რომ შემოქმედებითი კავშირები მხოლოდ ბიუროკრატიულ ინარატად გადაიქცნენ, მთელი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ შემოქმედებითი სექციების მუშაობის გასაცოცხლებლად.

V.

ყოველი ქართველი მწერალი და ხელოვანი კიდევ ერთხელ ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს იმ ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენებს, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ხდება.

თვითეულმა ჩვენგანმა, როგორც ამის შესახებ ნათლად არის თქმული სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში პარტიისადმი, ხალხისადმი, ზუსტად უნდა განსაზღვროს თავისი ადგილი და თავისი შესაძლებლობანი, დასახოს ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრის გზები და საშუალებანი, შეიტანოს თავისი ღირსეული წვლილი იმ საერთო საქმეში, რომელსაც ჩვენ ყველანი ვემსახურებით.

საბჭოთა დელეგაცია ჟენევაში ჩავიდა

ჟენევა. (საკადრო). აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის დელეგაცია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ვ. ს. სემიონოვის მეთაურობით. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაში სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, რომელიც 31 იანვარს განახლდება.

ჟენევაში ჩამოსვლისას ვ. ს. სემიონოვმა გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ფორდის ვლადივოსტოკში 1974 წლის ნოემბრის შეხვედრის შედეგად მიღწეულია შეთანხმება სტრატეგიული შემტევი შეიარაღების შეზღუდვის ახალი შეთანხმების ძირითად დებულებათა შესახებ. სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა წინაშე დასახულია ამოცანა მოამზადონ ახალი შეთანხმების პროექტის ტექსტი ვლადივოსტოკში შემუშავებულ დებულებათა საფუძველზე.

სსრ კავშირის დელეგაციას, თქვა ვ. ს. სემიონოვმა, დავალებული აქვს აღნიშნული შეთანხმების შესაბამისად ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციასთან ერთად განახორციელოს ერთობლივი მუშაობა. დასახული ამოცანის შესრულებას ჩვენ ვუდგებით საქმიანად, კონსტრუქციულად, კონკრეტულად. ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციაც ასევე უდგება ამ ამოცანას.

ფიდელ კასტროს გაჭოსვლა

ჰავანა, 30 იანვარი. (საკადრო). კუბის ლას-ვილიასის პროვინციაში გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა კუბის რკინიგზელის დღესა და ჰავანა-სანტიაგო-დე-კუბის რეკონსტრუირებული რკინიგზის მაგისტრალის პირველი უბნის გახსნას. მიტინგზე გამოვიდა კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო. მან ჯულთბილად მიულოცა მუშებს შრომითი გამარჯვება და ილაპარაკა რესპუბლიკაში რკინიგზების ქსელის განვითარების პერსპექტივებზე.

ფიდელ კასტრომ მადლობა გადაუხადა საბჭოთა სპეციალისტებს კუბის ამ მთავარი რკინიგზის მაგისტრალის რეკონსტრუქციაში მონაწილეობისათვის.

ჰ. ვილსონის ვიზიტი

ვაშინგტონი, 30 იანვარი. (საკადრო). აქ ჩამოვიდა ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჰ. ვილსონი. 30-31 იანვარს იგი გამართავს მოლაპარაკებას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯ. ფორდთან და სხვა ოფიციალურ პირებთან. თეთრი სახლის მიერ გამოცხადებული მოლაპარაკების პროგრამაში ნათქვამია, რომ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი „განიხილავენ საერთაშორისო პრობლემებსა და ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებს, კერძოდ ეკონომიურ და ენერგეტიკულ პრობლემებს“.

„სოიუზ“—„აპოლონი“

მზადება მთავრდება

ნიუ-იორკი, 30 იანვარი. (საკადრო). საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერები, სპეციალისტები და კოსმონავტები შეუდგნენ „სოიუზ-აპოლონ“ პროექტით საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი კოსმოსური ექსპერიმენტის ფრენისწინა მზადების დამამთავრებელ ეტაპს. ამერიკის ჰიუსტონის ლინდონ ჯონსონის სახელობის პილოტირებული კოსმოსური ხომალდების ცენტრში ჩამოვიდა საბჭოთა სპეციალისტებისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა დიდი ჯგუფი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ბ. ნ. პეტროვისა და საბჭოთა კავშირის მხრივ პროექტის ტექნიკური დირექტორის პროფესორ კ. დ. ბუშუევის მეთაურობით. ამერიკის მხარეს წარმოადგენენ აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველოს სპეციალისტები.

უახლოესი დროის განმავლობაში საბჭოთა და ამერიკელი მეცნიერები და სპეციალისტები გაიხილავენ პროექტის უკანასკნელ დეტალებს, შეამოწმებენ „სოიუზ“ და „აპოლონ“ კოსმოსური ხომალდების შეპირაპირების პირველი ერთობლივი პროექტის ყველა სისტემის შეთავსების შესაძლებლობასა და მუშაობას. როგორც ცნობილია, კოსმოსში ერთობლივი ექსპერიმენტის მოწყობა გათვალისწინებულია მომდინარე წლის ივლისის შუა რიცხვებისათვის.

ამბები • ფაქტები

საკადრო და უცხოეთის პრესის საქართველოელ ინტერნაციონალ

ფოტოინფორმაცია

ავიპარსი. ნიკოზიაში, ლიმასოლში, ლარნაკში, პაფოსსა და ქვეყნის სხვა ქალაქებში გაიმართა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელმაც ევაკუაცია უყო ინგლისის სამხედრო ბაზაში ლტოლვილ კვიპროსელ თურქებს.

სურათზე: დემონსტრანტები ნიკოზიის ქუჩებში.

იუპი-საკადრო ტელეფოტო.

ოსლო

უმეტესობა მოლაპარაკება

ოსლო, 30 იანვარი. (საკადრო). სკანდინავიის ავიაკომპანია „სასმა“ და ამერიკის „პან ამერიკენმა“ შეწყვიტეს მოლაპარაკება, რომელიც ეხებოდა ჩრდილოეთ ატლანტიკის გავლით სკანდინავიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის „სასის“ რეისების რიცხვის შემცირების საკითხს. ეს საკითხი წამოაყენა ამერიკამ, რომელსაც აწუხებს ევროპის ავიაკომპანიების გაზრდილი კონკურენცია. უფრო ადრე ჰოლანდიის ავიაკომპანიამ უგულებელყო ამერიკელთა მოთხოვნები ჰოლანდიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში რეისების რიცხვის შემცირების შესახებ.

სკანდინავიის ავიაკომპანიისათვის ჩრდილოეთ ატლანტიკის გავლით ფრენის საკითხი მეტად მნიშვნელოვანია: 1974 წლის ზაფხულის პერიოდში ამ მარშრუტების წილად მოდიოდა სასის ტვირთბიდის 60 პროცენტი.

ნორვეგიის გაზეთ „აფტენპოსტენისათვის“ მიეცემოდა ინტერვიუში სასის პრეზიდენტმა კ. ჰაგრუპმა განაცხადა, „ამან ამერიკელნი“ მოთხოვნები იმდენად მიუღებელია, რომ მათ ვერ დავეთანხმებითო“.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

ნიუ-იორკი. დაახლოებით 37 ათასი მცხოვრები შეემატა დეკემბერში უმუშევართა არმიას, რომელთა საერთო რიცხვი ამ ქალაქში 269.700-ს აღწევს, განაცხადეს ნიუ-იორკის შტატის ხელისუფლებმა. ნოემბერსა და დეკემბერში უმუშევრობის ზრდის ტემპი ქალაქში თითქმის სამჯერ აღემატებოდა საერთო ეროვნულს, ხოლო მისმა დონემ 8,5 პროცენტი შეადგინა.

ტოკიო. კიოტოს პრეფექტურის ქალაქ კამეოკაში გამართულ არჩევნებში ოთხივე კომუნისტი კანდიდატი გავიდა ამ ქალაქის მუნიციპალურ კრებაში. მუნიციპალურ კრებაში არჩეულია ავრეთვე-ორი წარმომადგენელი სოციალისტური პარტიისა და კომეიტოს პარტიისაგან. 17 იანვარს არჩევნებში კამეოკის მერად არჩეულია დემოკრატიული ძალების წარმომადგენელი კოძიმა.

დელი. ოთხშაბათს ინდოეთის ჩრდილოეთ შტატებში კვლავ იგრძნობოდა მნიშვნელოვანი ძალის მიწისქვეშა ბიძგები. ქიმაჩალ-პრადეშის შტატის მთელ რიგ რაიონებში დაინგრა საცხოვრებელი სახლები და ადმინისტრაციული შენობები, არის მსხვერპლი.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 19 იანვარს ინდოეთის ჩრდილოეთის შტატებში მოხდა უკანასკნელი 70 წლის მანძილზე უდიდესი მიწისძვრა, რომლის ეპიცენტრი დელის ჩრდილოეთით 550 კილომეტრზე მდებარეობდა.

ბეირუთი. ისრაელი კვლავ გაანგრძობს ტერორსა და ძალადობას ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიაზე. ბოლო დღეებში, პალესტინის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ღაზის სექტორში ისრაელმა ხელისუფლებმა მასობრივად გაიჩხრიკეს და დაატყვევეს არაბი მოსახლეობა. ოკუპანტები მრავალგზის უშენდნენ ცეცხლს მშვიდობიან მცხოვრებლებს.

სანდესი, 30 იანვარი.

□

ჩვენი კომენტარი

ეტრაუსი მაოსთან

მკითხველებისათვის ამათი გვარი და სახელი კარგად არის ცნობილი.

ფრანც იოზეფ შტრაუსი დასავლეთ გერმანიის უკიდურესი, მემარჯვენე რეაქციული ფრთის მთავარი ბურჯია, მსოფლიოს რეაქციონერთა ბანაკში კი — ერთ-ერთი პირველთაგანი. ზოგიერთი საერთაშორისო მიმომხილველი მას ევროპელ პინოჩეტს უწოდებს. ცხადია, ეს ადამიანი, მათ შორის განსხვავებაც არის. პინოჩეტი ჯალათი-პრემიერია, ხელები ადამიანის სისხლით აქვს მოსვრილი. შტრაუსი პრემიერობის მაძიებელია. ბავშვიერ ლუდისმოყვარულთა სიბერესმიღწეული ეს ხათაყვანებელი კერპი დღეგადაგან ფედერაციული გერმანიის პრემიერის დაფნის გვირგვინზე, რევანშზე ოცნებობს. როგორც ჰიტლერს თავის დროზე, ისე შტრაუსს სურს დასავლეთში ეკონომიური დეპრესიის შედეგად შექმნილი რთული ვითარებით ისარგებლოს და პრემიერის სავარძელში მოკალათდეს.

ჩინეთი დიდი ქვეყანაა და სუსტი სახელმწიფო როდია, შესაძლებელია მომავალში კიდევ უფრო გაძლიერდეს. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ მიემგზავრება იქ ბევრი საზოგადო თუ სახელმწიფო მოღვაწე.

მაგრამ მაო ძე დუნი ყველას როდი იღებს სასაუბროდ. ამას წინათ ჩინეთს ამერიკელ სენატორთა ერთი ჯგუფი ეწვია. მაომ ისინი არ მიიღო და სენატორები საავადმყოფოში ეწვევნენ ჯოუ ენ-ლაის და იქ ესაუბრნენ.

საინტერესოა არჩევის რომელი პრინციპით ხელმძღვანელობს მაო ვიზიტორების მიღების დროს?

უწინარეს ყოვლისა, ალბათ იმის მიხედვით, თუ რამდენად მაღალი მისი სტუმრის ანტისაბჭოური ტემპერატურა.

მაო ხომ ანტისაბჭოთა, რეაქციონერ მოლაშქრეთა თაყვანისმცემელია, ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ შტრაუსი მიიღო და კარგა ხანსაც ესაუბრა.

ფრანც იოზეფ შტრაუსი ჩინეთში განსაკუთრებული ყურადღებით მიიღეს. მის ჩასვლას ჩინურმა გაზეთებმა გრძელი კომენტარები უძღვნეს. რადიო და ტელევიზია ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებს არ ჩამორჩენოდნენ. ამ ვიზიტს მიეძღვნა არაერთი პრეს-კონფერენცია. შპრინგერის, დასავლეთ გერმანიის პრესის ამ უგვირგვინო მეფის პრესა, სპეციალურ კარიკატურებსაც ბეჭდავს: შტრაუსი ფრთოსან ურჩხულზე, მაო ბავშიერული ტკბილის შარავლში გამოწყობილი, კვლავ შტრაუსი ჩინეთის სახელმწიფო მოღვაწეების სახის გამომეტყველი ოფიციანტებით გარშემორტყმული, იქაურ კერძს შეექცევა და ლუღლუღებს: „ძალიან მოგწონს ეს ჩინური კერძი“.

ამრიგად, უკიდურეს ანტისაბჭოელთა ბანაკი კიდევ ერთი წევრით გაიზარდა და იგი ასე გამოიყურება: მაო — პინოჩეტი — შტრაუსი — ჯექსონი.

ფედერაციულ გერმანიაში საერთო საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. ეკონომიური დაკვეთების, ინფლაციის, უმუშევრობის ატმოსფეროში შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს ამ ქვეყნის პოლიტიკურ ძალთა განლაგებაში, ეგებ შტრაუსიც ამოტივტივდეს და რაიხსკანცლეროობაზე განაცხადოს პრეტენზიები. ამიტომ ეარშიყებიან შტრაუსს პეკინში.

არავის გაუკვირდეს, თუ რეგანშისტმა შტრაუსმა და თავმჯდომარე მაომ საერთო ენა გამონახონ. პოლიტიკური ცხოვრების ისტორიამ ასეთი უჩვეულო სიმბიოზები იცის, მაგრამ საქმე ის არის, თუ როგორ დამთავრებულა ასეთი კავშირები!

ვლ. მაჭავარიანი.

ინტერვიუ

წიგნი მშვიდობის სამსახურში



22 აგვისტოდან 22 სექტემბრამდე მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე დარგთაშორისი თემატური გამოფენების პავილიონში მოეწყობა წიგნის საერთაშორისო გამოფენა. მისი დევიზია: „წიგნი მშვიდობისა და პროგრესის სამსახურში“.

ახალი ამბების საააგენტოს კორესპონდენტმა თხოვნით მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ი. ჩხიკვიშვილს მოეთხოვა გამოფენის მნიშვნელობისა და საბჭოთა გამომცემლობების მზადების შესახებ.

— საბჭოთა კავშირში წიგნის საერთაშორისო გამოფენის მოწყობა მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყნების ხალხებს შორის კულტურულ ფასეულობათა ურთიერთგაცვლის კიდევ უფრო გაფართოებას, — ამბობს იოანკლი იოსების-ძე, — საბჭოთა გამომცემლები, გამოფენის მომწყობნი დარწმუნებული არიან, რომ იგი ხელს შეუწყობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამომცემლობა შორის კულტურული და საქმიანი კონტაქტების გაფართოებასა და გაღრმავებას.

ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაიშალა მზადება გამოფენისათვის. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, სადაც შევიდნენ

XXX

არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს და ხალხს შესწიროს დღენია.

ილია.

ამ გაცრეცილ, გაყვითლებულსა და ნაკეცზე გაცვეთილ სამკუთხა წერილებს 30 წლის წინათ სისხარული მოჰქონდა გურჯაანელი გლეხის — გიო ბეციაშვილის ოჯახში. ახლა კი სათუთად გახვეული ეს წერილები დევს ძველებურ სკივრში, სადაც ლეჩაქ-ბალდადი, ჩიხტაკონი (შუბლის ქინძისთავებით გაწყობილი) და სამკვდრო ტანსაცმელ-ფეხსაცმელი აქვს შენახული ჯარისკაცების დედას. ეს წერილები ახლა რელიკვიასავით არის დაცული ბეციაშვილების ოჯახში.

ომი რომ არა, ვინ უნდა ყოფილიყო უფრო ბედნიერი, ვიდრე გიო და ტასო იყვნენ. შვიდი ჯანსაღი და კარგი შვილი (მეტი სიმდიდრე რაღა უნდა უნდოდეს კაცსა), ორი კარგი პატარძალი და ორი კარგი სიძე.

და დაიწყო ომი. დაირღვა ტასოს და გიოს ბედნიერი შრომით გატკეცებული ოჯახი.

უფროსმა ვაჟმა, ალექსიმ, ნადირობისა, ცხენისა და ჯირითის მოყვარულმა, უკანასკნელად მიაბა ცხენი ეზოში, ჯერ დედ-მამას გადაეხვია, მერე ცოლ-შვილსა და წავიდა სამშობლოს მისაშველებლად. მალე შაქრომაც მიაყუდა თოხი და ბარი და ძმის ჯვალზე დადგა.

უმცროსი ძმა შინ დარჩა. დაუდგრომელი ბიჭი ძლივს ითმენდა დღეებსა და კვირებს. უძნელდებოდა შინ ყოფნა. უწყება კი ჯერ არ მოდიოდა, როდის შეურულდებოდა ასაკი, როდის გახდებოდა ცხრამეტი წლისა. ჯული კი უწევდა იქით, სადაც ცხოვრება უფრო მძელვარე იყო. მაგრამ რა ექნა, აგერ ალექსის შვილი უნდა შემატებოდა ოჯახს. მაზლი იყო იოსები, მოვალე იყო სამშობიაროამდე მიეცილებინა ჯარისკაცი ძმის ცოლი და ეპატრონებინა მისთვის. მშვიდობიანად დაიბადა ციცქნა ნინიკო და იოსებმა განუცხადა დედ-მამას, მოხალისედ უნდა წავიდე ჯარშინ.

— რას ამბობ, ბიჭო! — შეუბღვირა გიომ ბიჭს. აბა, რას ამობ, შვილო, აწუწუნდა დედა, რა ქნას ამ ბერიკაცმა, სამი ბალღი ალექსისა, სამი შაქროსი, უმამოდ დარჩენილ დისწულებს რას ეუბნები, ჩიტის ბასლებივით რომ დაუღიათ პირი!

— ალექსისა და შაქროს უფრო უნდა შვენა, დედი. — უფრო იოსებმა, ტანმომცრო დედა მიისუტა გულზე და უსიტყვოდ დაითანხმა.

და მერე წერილი წერილზე მოდიოდა.

„სალამი ჩემს ძვირფას დედ-მამას, მოგიკითხავთ დიდი სიყვარულით და შორიდან ხელის ჩამორთმევით. ახლა მომიკითხეთ...“ და არავინ გამორჩებოდა მოუკითხავი: და და დისწული, მეზობელი და ნათესავი...

„... ახლა, დედი და მამი, ქაცვიანის ვენახი სულ სიმინდით აავსეთ... ყანები რომ დაგითესიათ, ძალიან გამიხარდა, მეტი აღარ შეიძლება“.

„მე ძალიან კარგად ვარ“ — იწერებოდა ალექსი. „მე ძალიან კარგად ვარ“ — იწერებოდა შაქრო. „ჩემზე ნუ იდარდეთ, მე ძალიან კარგად ვარ“ — იწერებოდა იოსები და დედ-მამასაც მეტი რა უნდოდა. ცხრა თვალი და ცხრა ყური სჭირდებოდათ, იმოდენა „ქულფათი“ უნდა დაერჩინათ. გოგო-ბიჭები „ბაბასა“ და „ფიას“, სისუფთავესა და ნანაობას მოითხოვდნენ, კოლმეურნეობაში გაპიროვნებულ ნაკვეთს რიგიანი მოვლა უნდოდა, საკრმიდამო ვენახს ხელი სჭირდებოდა, სახლკარი, ეზო-ყურე, კრუწ-ჭუჭუა თუ ღორი, საძილ-ვასშამი და ექვსი ბავშვის მოვლა-პატრონობა ოჯახის დიდი დედის — ტასოს ვალი იყო. ალექსის და შაქროს სახელზე გაპიროვნებულ ვენახებში ასლა საშა და მარო ჩადგნენ. მათი დიდი „კონსულტანტი“ და შემშველებელი გიო იყო.. თოხში მიშველება უნდოდათ რძლებს. შაბიამნის აპარატი ხომ მშოლოდ გიოს საქმე იყო. მაგრამ მარტო ეს? „გოგოებსაც“ მიშველება უნდოდათ. ორივე სიძე ქიტა ჯამატაშვილიცა და ალექსი ქიტაიშვილიც ფრონტზე იყვნენ. მარტო ანას მარჯვენაზე ვერ მიატოვებდა გიო მის ხუთ ყმაწვილს და ვერც მარიას გოგო-ბიჭებს მოაკლებდა ხელს. ყველას უნდა გასწვდენოდა გიოს ჯანი. ქვეყანა ომობდა თავისუფლებისათვის, ფრონტს ზურგის სიმაგრე უნდოდა. გიო და მისი რძლები პირნათლად უნდა გამოსულიყვნენ ქვეყნის წინაშე და აკი გამდიოდნენ კიდეც, ბევრი ღამე გათენებულა კვირიდან კვირამდე ალაზნის ველზე, ტრანსპორტი არ იყო და სანამ სამუშაო არ დამთავრდებოდა, შინ მოსვლა არ ხერხდებოდა (ეს მამაცური შრომა აკი დაუფასებდათ ომის დამთავრების შემდეგ და გიომა და მისმა რძლებმა ღირსეულად დაიმსახურეს მედლები „მამაცური შრომისათვის 1941-1945 წლებში“).

ბიჭები კი სიკვდილს თვალებში უცქერდნენ და სიცოცხლეზე და მომავალზე ფიქრობდნენ. „საშა, ძროხა გაყიდე, შენ სად შეგიძლიან მაგის მოვლა, მშვიდობით დავბრუნდები და მაგაზე უკეთეს გიყიდი“ — იწერებოდა ალექსი. „დედი, მე და ყარაულაშვილს პირობა გვაქვს, შინ რომ დავბრუნდებით ერთმანეთს მეჯვარედ უნდა გავყვეთ“ — იწერებოდა უმცროსი ძმა, იოსები. „დედი და მამი მოგილოცავთ პირველ მაისს“ — უოლავენ დედ-მამას ბიჭები 1943 წლის პირველ მაისს. „წასული ბიჭების ამბავი მომწერე, მე ძალიან კარგად ვარ, ვანადგურებ ფაშისტებს. კიდევაც გავანადგურებ და მშვიდობით დაბრუნდები“. „ჩემზე ნუ იდარდებთ, მე ძალიან კარგად ვარ“, — თითქმის ყველა წერილის აუცილებელი სტრიქონი გამხდარა. ბიჭებს მხოლოდ ერთმანეთის დარდი აქვთ, ერთმანეთის ამბის უცოდინრობა აღელვებთ.

სულსან-საბას ერთი არაკის მოყვარული ძმებივით უცოლშვილო იოსები ცოლშვილიანი ძმების სიცოცხლეზე ფიქრობდა: შვილები ჰყავთ დასაზრდელები, მე რა მიშავსო. ცოლშვილიანი ძმები იოსებზე ღელავდნენ, ჩვენ რა გვიშავს, არ აღვიგვებით, შვილი და ძირი გვრჩება, ოღონდ ეს უმცროსი ძმა სუ დაგვდუბებაო.

1943 წლის აპრილი. „მე ძალიან კარგად ვარ“ — იწერება იოსები, ისევ — „მომიკითხე შორიდან ხელის ჩამორთმევით“ და მისთანები. და წერილის ბოლოს, მეორე გვერდზე სამკუთხა ნაკეცზე მიწერილია, ვითომც არაფერი: „ახლა დედი და მამი, მარცხენა მკლავში ვიყავ დაჭრილი და ჰოსპიტალში ვიწექი თვეგრავლსა და მარტში, მაშინაც გწერდით წერილებს“.

... რად არის ეს წერილი მეტად გაცრეცილი და ბუნდოვანი, რად ჭირს ასე სიტყვების ამოკითხვა! „სალამი მართა და ჩემს პატარა შვილებს...“ ეს შაქროს წერილია: „ამ წერილს ვწერ და ვეზავნი ნიშნეულ დღეს. მოგილოცავმე, ამ ახალწელიწადს, დაეს ზარით მრავალს გახარებული. ახლა მარო, ახალწლის დილით გავდივართ ფრონტზე! აბა შენ იცი როგორ დამიზრდი პატარა შვილებს“.

ამ ცრემლით ვადარეცხილი წერილის სტრიქონი „აბა შენ იცი როგორ გამიზრდი შვილებს“ ბეციათა ვიოს რძლებმა შრომაში დროშასავით წინ წაიძღვარეს სამშობლოსათვის განწირული ქმრების ანდერძად.

შეასრულეს გიოს რძლებმა ქმრების ანდერძი — კარგ ადამიანებად აღზარდეს შვილები.

გაცვდა ჯარისკაცების წერილები, გაცვდა მოუღელელი გიოს კლდე ჯანიც, გაცვდა ტასოს გულიც, გაუშრა თვალებში ის კუნწულა ცრემლები, ბევრი დარჩა მანც მოსუცს წინსაყურებელი. ის 18 შვილიშვილის ბებიაა, 29 შვილიშვილისშვილისა და ერთი შვილიშვილიც „აგერ პაპა გაუხდა.

... გაზეთი „კომუნისტი“ 1974 წლის 9 აგვისტო. თვალი ცრემლითა და გული სიამაყის გრძნობით აუვსო ბეციაშვილების ოჯახს, როცა წაიკითხეს ქ. რუსთავის ქიმმრეწვმშენის სამმართველოს ელექტრიკოსის ალექსი ხარატონაშვილის წერილი, რომელიც იგონებს ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ პარტიზანებს და მათ შორის ალექსი ბეციაშვილს.

— სადამდე გიელია, შვილო, მოგიკვდეს დედა! — აღმოხდა დამწვარი გულიდან ჯარისკაცის დედას, როცა გიიგო, რომ ალექსის საფრანგეთში უბრძოლია, პარტიზანული ბრძოლების აქტიური მონაწილე ფაშისტებს ხელში ჩაუგდიათ და დაუსვრეტიათ. საფრანგეთის სამმო საფლაფში განისვენებს ახლა ალექსი ბეციაშვილის ვალმოხდილი ძვლები.

იქნებ როდისმე შაქროსა და იოსების ვაჟკაცობაზეც დაწეროს ვინმემ, იქნებ ვინმე მათი თანამებრძოლთაგანი ცხოვრობს დედამიწაზე და არ დავიწყებია მხარბეჭეანი გურჯაანელი ძმები.

...გაშლიან გურჯაანელები ალბინოსა თუ საჭირო სუფრას, გაიხსენებენ გიოსა და მის ორმეტრიან ბიჭებს, გაიხსენებენ მათს ომახიანსა და შეწყობილ „მრავალჟამიერსა“ თუ „გუშინ შვიდნის“, „ზამთარიას“ თუ „ბერი კაცი ვარ“.

გაიხსენებენ ომში დაკარგულ ბიჭებს და ცოცხლად აღდგერძელებენ მაროლაც, მარად ცოცხლებსა და მარად უკვდავებს.

ლალი მარტაშვილი.

სამნი ქმანი

როცა იმ სამკუთხა წერილებს ვკითხულობთ

ფრონტული სურათის კვალდაკვალ

ვინ იცნობდით იოველ თამბერიძეს?

ფრონტელ მამა ფოტოფურნალისტებმა დიდი სამამულო ომის ბევრი საინტერესო მომენტი შემოგვინახეს.

ჩვენ გვინდა გეესაუბროთ ერთ-ერთი უცნობი ფრონტელი ფოტოჟურნალისტ ი ს ნამუშევარზე, რომლის ფოტოზეც ყურადღება გაამახვილა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა ირ. კობახიძემ.

დიდი სამამულო ომის ისტორიის თემაზე მუშაობისას მისი ყურადღება მიიქცია ჯერ კიდევ „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის“ ისტორიის ექვსტომეულში გამოქვეყნებულმა ერთ-ერთმა ფოტოსურათმა, რომელიც გერმანიის საზღვარზეა გადაღებული. ეს ფოტოსურათი დაბეჭდილია აგრეთვე დიდი სამამულო ომის მოკლე ისტორიის 1965 და 1970 წლების გამოცემებში. ფოტოზე ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული ორი მეომარია აღბეჭდილი. მათ უკან ჩანს დიდი ფარი მოწოდებით — **„საბჭოთა არმიის მეომარო, შენს წინ ფაშისტი მხეცის ბუნაგია“**, უფრო უკან სასაზღვრო სვეტია წარწერით: „გერმანია“. ფოტოზე ერთ-ერთი მებრძოლი გარეგნობით ზედგამოჭრილი ქართველია, მაგრამ წარწერაში გვარი არ არის მითითებული.

1965 წლის 22 იანვრის გაზეთ „კრასნაია ზვეზდის“ პირველ გვერდზე გამოქვეყნდა გერმანიის სასაზღვრო სვეტთან გადაღებული ფოტოსურათი წარწერით: „ეს ფოტოსურათი 1944 წლის ბოლოს არის გადაღებული გერმანიის საზღვარზე. მასზე იმ ნაწილის საუკეთესო მებრძოლები არიან აღბეჭდილი, რომელთაც წელან ნიდათ პატივი გადაელახათ ფაშისტური გერმანიის საზღვარი. მთ მკერდს უმშვენებს ორდენები და მედლები. ესენი არიან ჩვენი დიადი სამშობლოს სხვადასხვა ქვეყნის შვილები — რუსი, გვარიანის სერჟანტი ს. ზატილკინი, უზბეკი, გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი ა. აშინბაევი, დაღესტანელი, ეფრეიტორი ი. ადელხანოვი, ყაზახი, სერჟანტი ი. ისანბაევი და ქართველი, ზემდეგი ი. თამბერიძე.

„კრასნაია ზვეზდის“ 1975 წლის 14 იანვრის ნომერში მეოთხე გვერდზე კვლავ გამოქვეყნდა ჟურნალი „საბჭოთა მეომრის“ არქივიდან ამოღებული ფოტოსურათი, რომელზეც ორი საბჭოთა მეომარია გამოსახული. მათ უკან სასაზღვრო სვეტია წარწერით: „გერმანია“. უკან ისევ ის დანგრეული სახლი ჩანს, როგორც ადრინდელ სურათებში. წარწერა გვამცნობს: „კავკასიიდან ალმოსავლეთ პრუსიამდე ბრძოლით გაიარეს ეფრეიტორმა ანდრეი ბატრაკოვმა და ზემდგმა იოველ თამბერიძემ. მეგობრები ერთი წუთით შეჩერდნენ, რომ ერთმანეთისათვის გერმანიის საზღვარზე გასვლა მიელოცათ“.

საინტერესოა, ვინ არის იოველ თამბერიძე? (იქნებ თავბერიძე?) რა ბედი ეწია მას, როგორ წარიმართა მისი ცხოვრება?

მკითხველებს ვთხოვთ გვაცნობონ რა იცით მასზე. აქვე გთავაზობთ „კრასნაია ზვეზდის“ 1975 წლის 14 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ ფოტოსურათს.

ლ. ხუბულური.

ფოტოაპარატით ჩვენს დიპლომატიურ საქმეებში

ვეცირეგაბარიტიანი გადასატანი ტრანზისტორული ტელევიზორის („რიგონდა-მ“) ახალი მოდელი, რომლის სერიული გამოშვება აითვისეს ლენინგრადის ქარხანა „მეზონში“, დაახლოებით სამ კილოგრამს იწონის. მისი კვება ხორციელდება ცალადი დენის ქსელიდანაც და 12 ვოლტი ძაბვის აკუმულატორული ბატარიიდანაც. ხურვილის შემთხვევაში მიმღები შეიძლება მიეერთებულ იქნას ავტომობილის ელექტროქსელთანაც. სურათზე: მუშა ლ. ვორობიოვა ახალ ტელევიზორთან.

ამერის ოლქი. რამდენიმე წლის შემდეგ გეოგრაფიულ რუკებზე გაჩნდება რეინიგზის ახალი სადგური — ბაიკალ-ამურის მაგისტრალის უსტ-ნიუკეგა. ახლა კი უსტ-ნიუკეგა ჯელტულაკის რაიონის ეკონომიკა მსხვილი კოლმეურნეობის „ლენინ ოქტონის“ („ლენინის გზა“) ცენტრია. ტაიგის სარეწების ოსტატებს, მეირმეებსა და მონადირეებს არაერთგზის მოუპოვებიათ პრიზები საოლქო დათვალიერებებ-გამოფენებზე, ყოფილან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილენი, ყველაზე იღბლიან მონადირედ კოლმეურნეობაში თვლიან ივანნ ვასილიევიჩ ტატაკანოვს (სურათზე). მის ანგარიშზეა ტაიგაში მოპოვებული ათასობით სიასამური და ციყვი.

ბარეთ პურგა უბრავს, ზამთარი სრულუფლებიან ბატონ-პატრონად მოვიდა მოსკოვში. ხოლო ცენტრალური საწყლოსნო კლუბის სპორტსმენები გალინა დოლია, ნინო ივანოვა და ტატიანა კაპიტანოვსკაია ახლა ფიქრობენ თბილ მზეზე, ალერსიან ზღვაზე, წყალქვეშა მარშრუტების რომანტიკაზე. ცისფერ სივრცეთა სიყვარულმა ქალიშვილები ცურვის სექციაში მიიყვანა. გადიოდა წლები. წყლის ბილიკები მათთვის ვიწრო გახდა. და ქალიშვილებმა აკვალანგები გიიკეთეს და წყალქვეშ ჩაეშვნენ. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები წყალქვეშ ჯგუფურ ვარჯიშში ჩვენი ქვეყნის 1973-1974 წლების ჩემპიონები, სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრები, საერთაშორისო შეჯიბრებებში არაერთგზის გამარჯვებულნი — ყველა ამ ტატულსა და წოდებას ფლობს განჯრელი ტრიო. სურათზე: ტ. კაპიტანოვსკაია, გ. დოლია და ნ. ივანოვა თავიანთ მწვრთნელთან საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთან, მსოფლიოს შვიდზის რეკორდმენ სერგი ტარასოვთან.

საკადეტისა და ახალი ამბების საბავშვოს ფოტო.



გიწვევთ სპორტის სასახლეში!

გვესაუბრება თბილისის სპორტის სასახლის დირექტორის მოადგილე — მთავარი ინჟინერი, სპორტის ოსტატი ზ. ოთა ქორაია შვილი.

ზუსტად 10 თვის წინათ ზემდგომი ორგანოების გადწყვეტილებით „კაპიტალური რემონტისათვის დაიხურა თბილისის სპორტის სასახლე.

ეს უდიდესი უნიკალური სპორტული ნაგებობა ექსპლოატაციაში იყო 1961 წლის მაისიდან. მაშ რამ გამოიწვია მისი შეკეთების აუცილებლობა — არც მეტი, არც ნაკლები 13 წლის შემდეგ?

საქმე ის არის, რომ სასახლეს დროთა განმავლობაში დაუზიანდა სახურავი. ტემპერატურის ცვლებადობა იწვევდა შენობის თაღის პიდროიზოლაციიდ ზედაფენის დახეთქვას, რის გამოც ბზარებში წყალი ჩადიოდა.

სპეციალურად შექმნილმა კომისიამ საჭიროდ ჩათვალა პიდროიზოლაციის ზედაპირის მოხსნა. შემკეთებლები ბეტონის ფილებამდე დავიდნენ, რასაც ასლა ტოლის ბევრად გამძლე ფენა დაეფარა.

დაიწყო თაღის გადახურვა ალიუმინის სხვადასხვა თარეგის მსუბუქი კონსტრუქციის ფურცლებით (ზომა 6X3 მეტრზე), რაც შესასვლელადაც ლამაზია.

დაუშატებ, რომ თუ შეკეთებამდე სასახლის სახურავის წონა შეადგენდა დაახლოებით 2.500 ტონას, რეკონსტრუქციის დამთავრების შემდეგ იგი არ აღემატება 200 ტონას. როგორც ხედავთ, ჩვენი სპორტის სასახლის „ქუდი“ შემსუბუქდა 12,5-ჯერ.

მთლიანი გადახურვა, რომელსაც აწარმოებს საქართველოს მშენებლობის სამინისტროს № 18 ტრესტის (მმართველი — სსრ კავშირის ვლირ ბ. ულუბა) მესამე სამმართველო (სასურავის კაპიტალურ რეკონსტრუქციას ხელმძღვანელობს ინჟინერი გ. დოლიძე), დამთავრდება გაზაფხულზე.

მიუხედავად ამისა, მშენებლებმა იკისრეს ვალდებულება თაღის შეკეთება დაამთავრებინათ მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირისათვის, რაც შეასრულეს კიდეც.

ჩვენს სასახლეში კაპიტალურად შეეკეთეთ აგრეთვე სარბიელი, სავარჯიშო დარბაზები, გასახდელები, კედლები შეეღებეთ თანამედროვე უფრო გემოვნებით შერჩეული ფერებით, რაშიც კონსულტაციას გვიწევდა შენობის პროექტის ავტორი — არქიტექტორი ლადო მესხიშვილი.

ერთი სიტყვით, გაკეთდა ბევრი რამ, გასაკეთებელი კიდევ გვაქვს, მაგრამ დღეს უკვე მზად ვართ მივიღოთ დიდი ჭიდაობის პირველი გულშემატკივრები.



კრეტენდენტთა ფინალური მატჩი

პერტია გაღაიდო

ბუენოს მოსკოვში გიმართა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა — ნანა ალექსანდრიასა და ირინე ლევიტინას ფინალური მატჩის მეხუთე პარტია. თეთრებით თამაშობდა ქართველი მოჭადრაკე.

პარტია გადაიდო ალექსანდრიას მცირე უპირატესობით, რომელმაც 41-ე სვლა ჩაიწერა. დღეს გიმართება ამ პარტიის დამთავრება.

ორ ტურნირზე

ფეიკ-ან-ზეეში (ჰოლანდია) მიმდინარეობს ვაჟთა დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. მასში მონაწილეობს 11 გროსმეისტერი: ველერი, ფურმანი (ორივე — საბჭოთა კავშირი), ჰორტა, სმეიკალი (ორივე — ჩეხოსლოვაკია), დონერი, ტიმანი (ორივე — ჰოლანდია), ბოგუნი, ძაველეკი (ორივე — აშშ), ჰიუბნერი (გფრ), ვლიგორიჩი (იუგოსლავია), პორტიში (უნგრეთი) და 5 საერთაშორისო ოსტატი.

10 ტურის შემდეგ 7,5 ქულით პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ პორტიში და ჰორტა.

ორენზეში (ესპანეთი) მიმდინარეობს ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი.

16 მონაწილეს შორის არიან გროსმაისტერები ლარსენი (დანია), ლიუბოეიჩი (იუგოსლავია), გეორგიუ (რუმინეთი), ანდერსონი (შვეიცია), ლომბარდი (აშშ), კინტეროსი (არგენტინა), პომარი, დიეზ დელ კორალი (ორივე — ესპანეთი), საერთაშორისო ოსტატები და ოსტატები.

რ. ფიშერის მოთხოვნები დაუსაბუთებელია

„ჩემი აზრით, რობერტ ფიშერი ვერ შეძლებს გამოსვლას მატჩში ანატოლი კარპოვის წინააღმდეგ“, — განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ტქინიკის მეცნიერებათა დოქტორმა, მსოფლიოს ჭეს-ჩემპიონმა ჭადრაკში მიხეილ ბოტვინიკმა.

„ჩემი ეჭვები, — თქვა მან, — გამოიწვია საჭადრაკო პორიზონტიდან ფიშერის ხანგრძლივმა და უპრეცედენტო გაქრობამ. რამდენიმე წელია იგი არ მონაწილეობს არც ტურნირებსა და არც მატჩებში, მგონი საზოგადოებასაც არ ანდობს თავს, თითქმის ზელეწადნაჩვევარია ფიშერის ფოტოსურათიც არ გვინახავს.

დაუსაბუთებელია ამერიკელი გროსმაისტერის ცდები შეცვალოს მსოფლიოს პირველობაზე შეჯიბრების რეგლამენტი, მიაღწიოს პარტიების განუსაზღვრელ რაოდენობას. 36 პარტია ხომ მეტისმეტად ბევრია. საკუთარი გამოცდილებით და ბევრი გამოჩენილი მოჭადრაკის აზრით ვიცი, რომ ერთ მატჩში 20-24-ზე მეტი პარტიის თამაშში ძალების სრული დაძაბვით შეუძლებელია. (საკდესის კორ.).

თბილისის XIV საერთაშორისო

დღეს სპორტის სასახლეში იხსნება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში



მეთოთხმეტედ იკრიბებიან საქართველოს დედაქალაქში მსოფლიოს საუკეთესო ფალავნები — თავისუფალი სტილის მოჭიდავეები. ამჯერად სპორტის სასახლის სარბიელზე გამოვლენ ამერიკის შეერთებული შტატების, ირანის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, მონგოლეთის, პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის გუნდები. მათთან ერთად იასპარეზებენ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდებიც — სულ 120-მდე მონაწილე.

ჭიდაობის მოყვარულები 31 იანვრიდან 2 თებერვლამდე სასახლის საჭიდაო ხალიჩაზე იხილავენ საკავშირო ნაკრების წევრებს, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონებსა — თბილისელ ლევან თედიაშვილსა და მოსკოველ რომან დმიტრიევს, მსოფლიოს ჩემპიონს მახარაკელ ვლადიმერ იუმინს, ევროპის ჩემპიონს ნოდარ მოდებაძეს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ვლადიმერ პარშუკოვს...

ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას დაიცავენ საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონი ვლადიმერ მარშანია, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი რომან მარსაგიშვილი, თბილისის გასული წლის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული ზურაბ ნიკურაძე, მსოფლიოს ჩემპიონები ჭაბუკთა შორის დაკით ყვარელაშვილი და აკაკი ხოსაშვილი, ქვეყნის ჩემპიონატის პრიზიორი მურად ცნობილაძე და სხვები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ასპარეზობა პირველ საშუალო წონაში კატეგორიაში (82 კილოგრამი), რომელშიც ბოთამაშდება შესანიშნავი ქართველი ფალავნის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვახტანგ ბალავაძის პრიზი.

შეჯიბრება დღეს დაიწყება 12 საათზე, ხოლო საზეიმო გახსნა დანიშნულია 19 საათისათვის. მომდევნო დღეებში - ასპარეზობა გიმართება დილით 11 საათზე და საღამოს — 18 საათზე.

□

კალათბურთელთა ჩემპიონატი

მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტი — კაუნასის „ჟალგირისი“ — 92:87 (44:52). სტუდენტები, რომლებმაც წააგეს პირველი ტაიმი, სრულიად გარდაიქმნენ მეორეში. მოედნის ბატონ-პატრონი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით იყვნენ მინსკელები გუზიკი და შუშკინი. სტუდენტთა გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა რადიოტექნიკის ინსტიტუტის ვეტერანმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ვლადიმერ კრისევიჩმა.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

პირველი პროგრამა

3 თებერვალი

17.05 — ბავშვებისათვის — კინოპროგრამა, 17.50 — მოსწავლეთათვის „ზამთრის ზეიმი“ — მუსიკალური ინსცენირება, 18.10 — განცხადებები, 18.15 — რუსული ენაზე), 18.35 — „შეჯიბრება წარმატების საწინდარია“, 19.00 — „საესტრადო პანორამა“, 19.35 — „დიდება შრომას“ — ქართული სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმების ფესტივალის გახსნა, 20.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — დიადი გამარჯვების XXX წლისთავისათვის. სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ (VIII სერია), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „საერიერო პულტთან ჯანსუღ გახიძეა“. დასასრულ — ახალი ამბები.

4 თებერვალი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (ელექტროლიზი და მისი გამოყენება ტექნიკაში), 11.00 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ვინც არაფერს წარმოადგენდა“ (I სერია), 12.10 — დიადი გამარჯვების XXX წლისთავისათვის. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მხედრები“ (I სერია), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად. ლექცია ქართულ ენაში, 17.45 — „დიდება შრომას“ — ქართული სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმების ფესტივალი. დოკუმენტური ფილმი „უფადმ გზაში“, 17.55 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად. ლექცია ბიოლოგიაში, 18.40 — განცხადებები, 18.45 — სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის — დოკუმენტური ფილმი „რეპორტაჟი ლუზინოდან“ (ქართულ ენაზე), 19.00 — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის საპასუხოდ — „მეცხრე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის“, 19.20 — „დიდება შრომას“ — ქართული სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმების ფესტივალი. დოკუმენტური ფილმი „მეფოლადეთა ოჯახი“, 19.30 — „დღეგრძელთა ანსამბლი“, 20.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — დიადი გამარჯვების XXX წლისთავისათვის. სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ (IX სერია), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „ახალი ამბები“ — ტ. ლაღიძე. „ლელა“. დასასრულ — ახალი ამბები.

5 თებერვალი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ფენომენი“ — „ბრმედი“ და „არსენ კობაიძის ნაამბობი“, 11.00 — ფერადი ტელევიზია. სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ვინც არაფერს წარმოადგენდა“ (II სერია), 12.10 — დიადი გამარჯვების XXX წლისთავისათვის. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მხედრები“ (II სერია), 15.40 — „სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა“ — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.10 — „დიდება შრომას“ — ქართული სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმების ფესტივალი. სატელევიზიო ფილმები „მიწის შვილები“ და „ქალაქი მთაში“, 16.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ქიმიაში, 17.10 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 17.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „მსოფლიოს ნამარხი ქალაქები“, 18.10 — „გადავაქციოთ მეცხოველეობა რენტაბელურ დარგად“, 18.25 — მოსწავლეთათვის — „ჯილდო გამარჯვებულ ბრიგადას“, 19.00 — „დიდება შრომას“ — ქართული სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმების ფესტივალი. „ქალბატონ ლედეონის ანდერძი“, 23.30 — ახალი ამბები.

6 თებერვალი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ფენომენი“ — „ბრმედი“ და „არსენ კობაიძის ნაამბობი“, 11.00 — ფერადი ტელევიზია. „მეცხრე სტუდია“ — ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს პოლიტიკური მიმოხილველის ვ. ზორინის გაკმსვლა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.50 — დიადი გამარჯვების XXX წლისთავისათვის. სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი. „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ (X სერია), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „საერიერო პულტთან ჯანსუღ გახიძეა“. დასასრულ — ახალი ამბები.

7 თებერვალი

10.05 — ფერადი ტელევიზია. დილის ვარჯიში (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ფერადი ტელევიზია. „ხელმარჯვე ოტტატები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ვინც არაფერს წარმოადგენდა“ (III სერია), 12.10 — „დიდება შრომას“ — ქართული სატელევიზიო და დოკუმენტური ფილმების ფესტივალი. დოკუმენტური ფილმები „ნიკო ხუციშვილი“, „ზურაბ სარალიძე“, „მეგიდელი“, 17.05 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად. ლექცია სსრ კავშირის ისტორიაში, 17.50 — მოსწავლეთათვის. ნახატი ფილმი „მოჯადოებული ბიჭი“, 18.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ვინ მინდა გავხდე?“ (ქართულ ენაზე